

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

მაუწყებლების ტოქსოუების წინასაარჩევნო
მედია მონიტორინგი

ანგარიში

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი)



თბილისი, 2016

პროექტის შესახებ

„საქართველოს წარმართვის ეთიკის ქარტია“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში სატელევიზიო არხების მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორები აკვირდებიან 11 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუებს. მონიტორინგი ხორციელდებოდა შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი, რუსთავი 2, იმედი, მესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25

ანგარიში მოიცავს 25 სექტემბერი - 2 ნოემბრის პერიოდს.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ:

- პრეზიდენტი
- მთავრობა
- პოლიტიკური პარტიები

მონიტორები აკვირდებოდნენ როგორ ჩანდნენ კვლევის სუბიექტები გადაცემებში. თითოეულ ტოქშოუს აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

არის თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შესაბამისია მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემასთან, სტუმრების შერჩევასა ხომ არ ჩანს მიკერძოება, როგორ მიმდინარეობს მსჯელობა, რამდენად კარგად მართავს დისკუსიას წამყვანი, როგორია მისი კითხვები, არის თუ არა მომზადებული, აძლევს თუ არა ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას სტუმრებს, გადაცემა ხომ არ არის გამოყენებული სიძულვილის ენის გასავრცელებლად.

საერთო ჯამში იღებს თუ არა მაცურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

ტენდენციები

- არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ ტოქშოუებში შემცირდა საარჩევნო თემატიკის განხილვა. ნაკლები დრო დაეთმო მეორე ტურში გასული კანდიდატების ხედვებს.
- დამოუკიდებელი კანდიდატებიდან გადაცემებში ყველაზე ხშირად სალომე ზურაბიშვილი მონაწილეობდა. მეორე ტურში გასული სხვა დამოუკიდებელი კანდიდატები ტოქშოუების ყურადღების ქვეშ ნაკლებად ხვდებოდნენ.
- წინა სამონიტორინგო პერიოდის მსგავსად, გადაცემა “2030-ის” სტუმრების დიდი ნაწილი კვლავაც „ქართული ოცნების“ წევრები იყვნენ.
- „ობიექტივი“ კვლავ „პატრიოტთა ალიანსის“ ტრიბუნად რჩებოდა, რადგანაც ამ პარტიის წევრები ფაქტობრივად ყველა გადაცემაში მონაწილეობდნენ. წამყვანთა ნაწილი კი მათ ღიად უცხადებდა მხარდაჭერას.
- ტოქშოუების დიდი ნაწილის განსახილველი თემა ამა თუ იმ პირის შეფასებები და მათზე მსჯელობა იყო. ისინი ძირითადად იმეორებდნენ საინფორმაციო გადაცემებით გასულ მოსაზრებებს და ახალ ინფორმაციასა თუ ანალიზს ნაკლებად აწვდიდნენ აუდიტორიას.
- საანგარიშო პერიოდის პირველ ეტაპზე რამდენიმე ტელეკომპანიამ დიდი დრო დაუთმო „მოსალოდნელ დესტაბილიზაციას“, თუმცა, ახალი არგუმენტაცია, თუ რას ეფუძნებოდა ეს დესტაბილიზაციის მოლოდინი, არ გაჟღერებულა. მეორე ეტაპზე აქტუალური გახდა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროგნოზი და საკონსტიტუციო უმრავლესობის საფრთხეებზე მსჯელობა.
- ერთი პარტიის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების საფრთხეებზე მოქალაქეებმა მიმართვა გაავრცელეს და მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს ხმა არ მიეცათ "ქართული ოცნებისთვის". ამ თემაზე სასაუბროდ „რუსთავი 2-ის“ ეთერში მხოლოდ ის სტუმრები იყვნენ მიწვეულნი, რომლებიც ამ საფრთხეებს იზიარებდნენ, “2030-ის“ ეთერში კი - მხოლოდ “ნაციონალური მოძრაობის” მოწინააღმდეგეები.
- მეორე ტურის წინ დებატებში მონაწილეობაზე უარი თქვეს "ქართული ოცნების" წევრებმა აჭარაში. ისინი არ მივიდნენ არც აჭარის ტელევიზიის და არც 25-ე არხის ეთერში, რის გამოც დებატები ვერ შედგა.
- პირველი ტურის წინ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში პარტიის პირველ ნომრებს შორის გამართულ დებატებში მონაწილეობა არ მიიღეს რამდენიმე პარტიის, მათ შორის "ქართული ოცნებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა.
- დებატების დროს წამყვანები ხშირად მხოლოდ მოდერატორის ფუნქციას ასრულებდნენ, არ სვამდნენ დამაკონკრეტებელ კითხვებს, რის გამოც რესპონდენტების მიერ არასწორი ინფორმაციის გავრცელება კვლავ პრობლემად დარჩა.
- მაესტროზე დაიხურა ორი ტოქშოუ - დამის კონტაქტი და მაესტროს ფაქტორი
- პატრიოტთა ალიანსის მაჟორიტარი კანდიდატი, ბონდო მძინარაშვილი პირველ ტურში დამარცხების შემდეგ „ობიექტივის“ ეთერში წამყვანად დაბრუნდა. კანდიდატად დასახელებამდეც მას ამ ტელეკომპანიის ეთერში გადაცემა მიჰყავდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

პირველი არხის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ შემდეგ გადაცემებს: „მთავარი“ (ორშაბათი, ოთხშაბათი 21:30) ინტერვიუ (სამშაბათი, ხუთშაბათი 21:30) და რეალური სივრცე (პარასკევი 21:30)

მთავარი

გადაცემა ეთერში გადიოდა კვირაში ორჯერ. საანგარიშო პერიოდში გაიმართა ორი პარტიის - „ქართული ოცნებისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ პრეზენტაცია. პროგრამამ ასევე შემოგვთავაზა პოლიტიკური დებატების ორი გადაცემა: კვალიფიციური სუბიექტების საარჩევნო სიის პირველ ნომრებსა და კვალიფიციური პარტიების ქალ ლიდერებს შორის. ქალების შემთხვევაში 9 პოლიტიკური სუბიექტიდან ერთმა, „პატრიოტთა ალიანსმა“ უარი თქვა დებატებში მონაწილეობაზე, რაც შეეხება პირველი ნომრების დებატებს, მონაწილეობა მხოლოდ ოთხმა პარტიამ მიიღო. ხუთი პარტია, მათ შორის „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ეთერში არ მივიდა.

ტოქშოუს სხვა გადაცემები მიმდინარე მოვლენებს ეძღვნებოდა, მოწვეული სტუმრები კი შემდეგი პარტიებიდან იყვნენ¹:

"ქართული ოცნება" - 6, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 4, "რესპუბლიკური პარტია" -3, "ეროვნული ფორუმი" -2, ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა -2, "თოვამე-მრეწველები ჩვენი სამშობლო" - 2, "თავისუფალი დემოკრატები" - 2, "ლეიბორისტული პარტია" - 1, დამოუკიდებელი კანდიდატი (სალომე ზურაბიშვილი) - 1

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიების პრეზენტაციების მსვლელობისას წამყვანა "ქართული ოცნების" მიერ 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობას "შთამბეჭდავი" უწოდა, ამასთან ერთერთი კითხვის დასმისას აღნიშნა, რომ მთავრობამ "ძალიან ბევრი" პროექტი განახორციელა ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით.

დასვა ისეთი კითხვებიც, რომლის არსი გაუგებარი დარჩა. მაგალითად, "[საარჩევნო პროგრამაში] საკმაოდ დიდი ნაწილია დათმობილი განათლებაზე. განსაკუთრებით პროფესიული განათლების გაძლიერებაზე. ერთის მხრივ პროფესიული განათლება, მეორეს მხრივ ძალიან ბევრი უნივერსიტეტი, ქუთაისშიც იწყება. ამდენი ახალგაზრდა გვყავს რომელიც იქაც ისწავლის და აქაც ისწავლის. მგონია რომ ბევრი ახალგაზრდა უნდა გვყავდეს და აროს ამდენი ახალგაზრდა უნივერსიტეტისთვისაც და პროფესიული განათლებისთვისაც?"

¹ შენიშვნა: მონაცემები მოიცავს დებატებსაც და პარტიის პრეზენტაციასაც. პარტიის პრეზენტაცია რაოდენობრივ მაჩვენებელში დათვლილია ერთ ერთეულად

დებატების ფორმატში თითოეული პარტიისთვის გამოყოფილი იყო განსაზღვრული დრო. წამყვანი მხოლოდ მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. იგი თითქმის არ ერეოდა რესპონდენტების გამოსვლაში. მაშინაც კი, როცა პარტიის წარმომადგენლის სიტყვა ბუნდოვანი იყო და მაყურებელს არასწორ ინფორმაციას აწვდიდა.

მაგალითად 3 ოქტომბრის დებატებისას „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ პირველმა ნომერმა გოგი თოფაძემ თქვა:

“ნაკლები დავუჯეროთ ჩვენ უცხოელ მრჩეველებს. ის ტრაგედია რაც დატრიალდა საქართველოში 90-იანი წლების შემდეგ, როცა დაჯინებითი მოთხოვნით იყო მთელი რიგი ჩამონათვალი იმ საკითხებისა, რომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს მრეწველობა, ინდუსტრია, საერთოდ, სოფლის მეურნეობა. ჩვენ ისე ჩამოვრჩით თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომ ჩვენ უნდა მხოლოდ და მხოლოდ გავატაროთ ნავთობსადენი, სატრანსპორტო კორიდორი ვიყოთ და ტურიზმით ვიცხოვროთ. აი, სწორედ ამ გზით რომ წავედით წინა ხელისუფლებაში, ამიტომ არის სავალალო შედეგი.”

ვისი მოთხოვნა იყო, რომ მრეწველობა არ განვითარებულიყო ან რა მასალებზე დაყრდნობით აცხადებდა ამას რესპონდენტი, გაურკვეველი დარჩა.

ამავე გადაცემაში აღსანიშნავია ნინო ბურჯანაძის ანტიდასავლური და მაყურებლის შეცდომაში შემყვანი განცხადებები, რომელიც უპასუხო დარჩა. მაგალითად სავიზო ლიბერალიზაციაზე საუბრისას მან თქვა, რომ “ეს არის უბრალოდ მოკლევადიანი ევროპაში მოგზაურობისათვის განკუთვნილი ვიზები, რომელიც ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას უბრალოდ, ვითომდა უფრო მარტივი პროცედურით მოხვდნენ ევროპაში, მაგრამ ესეც არ არის მარტივი პროცედურა, იმიტომ, რომ მათ დაჭირდებათ გაცილებით მეტი საბუთების წარმოდგენა აეროპორტში, ვიდრე შეიძლება ეს დაჭირდეთ საელჩოში და შანსი იმისა, რომ ვიზალიბერალიზაციის არსებობის შემთხვევაშიც და ყველა საბუთის არსებობის შემთხვევაშიც კი მათ უკან არ გამოაბრუნებენ იმავე თვითმფრინავით, რომელიც თბილისში გამოფრინდება უკვე ნამდვილად ძალიან ნაკლებია.”

არავის უკითხავს, თუ რის საფუძველზე გააკეთა პოლიტიკოსმა ასეთი დასკვნა. ნინო ბურჯანაძემ ასევე აღნიშნა, რომ ილუზიაა თითქოს “ევროპული ბაზარი ისე გაიხსნება ჩვენთვის, რომ ჩვენი მეწარმეები იქ სერიოზულ კონტაქტებს დაამყარებენ”. არავინ დაინტერესებულა, თუ რატომ არის ეკონომიკური თანამშრომლობა ილუზია მაშინ, როცა ექსპორტი ევროკავშირში წლიდან წლამდე იზრდება.

ამავე გადაცემაში წამყვანმა ასეთი რამ განაცხადა: “ქალები წინ გავუშვათ ასე ვთქვათ, ქალბატონი ნინოსგან დავიწყებ ამჯერად...” ნათქვამი ნინო ბურჯანაძემ გააპროტესტა - “პოლიტიკაში ქალი-კაცი არ არის სწორი ასე ვთქვათ გამიჯვნა”, ხოლო წამყვანმა უპასუხა,

“აბა, მეტი ქალი პოლიტიკაში რომ ამბობენ”. გაუგებარი დარჩა რა შუაში იყო ქალთა უფლებების დამცველების მოწოდება “მეტი ქალი პოლიტიკაში” ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

დისკრიმინაციული გამოწვევებში გამოიყენა გოგი თოფაძემ:

“მე მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა ჩვენ ვმართოთ, ქართველებმა და არა უცხოელებმა გვიკარნახონ როგორ ვიცხოვროთ. ამას მოყვა ეკლესიების ნგრევა, მართლმადიდებლობის დაქცევა ლამის, ვიღაც იაღველების, ვიღაცების სექტების შემოყვანა. ყველა გვებრძვის.”

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის თანახმად, „მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება.“

„თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.“

ქალების დებატებისგან განსხვავებით, ლიდერების დებატებში წამყვანს პარტიის წარმომადგენლებთან ჰქონდა ინდივიდუალური კითხვებიც, რაც ინფორმაციული იყო. ქალების დებატებისას ინდივიდუალური კითხვები არ ყოფილა და წამყვანის ინტერესებს მიღმა დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა, თუ რატომ ვერ მოახერხა წინა მთავრობამ, მაგალითისთვის, თუნდაც “ფემიციდის კანონის” მიღება (კითხვა მარიამ ჯაშისთვის შეიძლება დაესვას), ასევე რატომ არის “ეროვნული ფორუმის” ათეულში მხოლოდ ერთი ქალი (კითხვის ადრესატი ან მისთვის შეიძლება ყოფილიყო და ა.შ.)

გადაცემის ფორმატი იყო უფრო მონოლოგები, ვიდრე დებატები, წამყვანი იყო პასიური, ამიტომ ძნელი იყო გარკვევა რამდენად რეალური იყო პოლიტიკოსების დაპირებები ან როგორ განავითარებდა ეს დაპირებები ქვეყანას.

ტრადიციულ ფორმატში მომზადებული გადაცემების დროს წამყვანის მიერ დასმული კითხვები რიგ შემთხვევაში იყო ბუნდოვანად ფორმულირებული ანდა ნაკლებად რელევანტური. მაგალითად 10 ოქტომბერს, არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ, როდესაც წინ იყო მეორე ტური, “ქართული ოცნების” წევრ ირინა ფრუიძეს წამყვანმა ჰკითხა:

„სავარაუდოდ საკონსტიტუციო უმრავლესობით შევა “ქართული ოცნება” ახალ პარლამენტში. აპირებთ ყველა იმ დარჩენილი ორმოცდათერთმეტი მანდატისთვისაც

ბრძოლას ანუ მე მეორე ტურებს ვგულისხმობ. ყველა მანდატისთვის ბოლომდე იბრძოლებს "ქართული ოცნება?" - წამყვანმა კითხვას თავად გასცა პასუხი, რადგან თუ ყველა მანდატისთვის არ იბრძოლებდა, "ქართული ოცნება" საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ მოიპოვებდა. ასევე, ბუნებრივია, რომ რომ პოლიტიკური ძალა მეორე ტურშიც იბრძოლებს მანდატებისთვის.

წამყვანის კითხვები არ იყო კრიტიკული. მაგალითად, 31 ოქტომბრის გადაცემაში, "ქართული ოცნების" წევრს, ეკა ბესელიას წამყვანი ეკითხება სასამართლო რეფორმის შესახებ, თუ რა ფორმით იმსჯელებს ახალი პარლამენტი "მართლმსაჯულების მესამე ტალღაზე", რომელიც უკვე ორი მოსმენით მიიღო პარლამენტმა. წამყვანს არ მოუთხოვია პასუხი, თუ რატომ შეჩერდა და ჭიანჭურდება ქვეყნისთვის და სასამართლო სისტემისთვის ასე მნიშვნელოვანი რეფორმა მესამე მოსმენის ეტაპზე, როცა ფაქტობრივად, მხოლოდ სარედაქციო ხასიათის ცვლილებები შედის პროექტში. ამგვარი კითხვებისა ნაცვლად, ეკა ბესელიას შესაძლებლობა მიეცა ზოგადად ესაუბრა იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს რეფორმა ქვეყნისათვის.

2 ნოემბრის გადაცემაში კი წამყვანი "ქართული ოცნების" წარმომადგენელს, მამუკა მდინარაძეს უკითხავს ამონარიდს საარჩევნო პროგრამიდან, რომლის მიხედვითაც, უნდა შეიმუშაონ ახალი კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ და შემდეგ ეკითხება: "მაინტერესებს არსებულის განხილვა მოხდება თუ რაღაცა ახლის შემუშავებაზე ფიქრობთ მაინც". წამყვანი არ ახსენებს რესპონდენტს, რომ ეს კანონი აქამდე უნდა მიეღოთ და უკვე არ შესრულდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აღებული ვალდებულებები. არ ეკითხება გამზადებული კანონპროექტი რატომ ვერ დამტკიცდა ამდენი ხნის განმავლობაში.

იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტებს შორის არათანაბრად გადანაწილდა დრო, მაგალითად 24 ოქტომბრის გადაცემაში "ქართული ოცნების" წარმომადგენელს 25 წუთი დაეთმო, "თავისუფალი დემოკრატიების" წარმომადგენელს - დაახლოებით 13 წუთი, ხოლო 24 ოქტომბრის გადაცემაში მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი არჩევნებსა და გეგმებზე ეთერში დაახლოებით 24 წუთი საუბრობდა, მის კონკურენტ ნიკა რურუას იმავე საკითხებზე სასაუბროდ მხოლოდ 11 წუთი დაეთმო.

ინტერვიუ

სალომე ასათიანის გადაცემა ინტერვიუ კვირაში ორჯერ გადიოდა ეთერში. სამონტორინგო პერიოდში გასული გადაცემებიდან 5 შემთხვევაში ჰყავდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი - ირაკლი ალასანია (თავისუფალი დემოკრატები), კახაბერ შარტავა (ეროვნული ფორუმი), ზურაბ ჯაფარიძე (გირჩი), ირაკლი კობახიძე (ქართული ოცნება) და თამარ კორძაია (რესპუბლიკური პარტია).

გადაცემა არის საკმაოდ დინამიკური და სწრაფად ვითარდება. საწყისი კითხვის შემდეგ წამყვანი იწყებს დეტალებში შესვლას, პასუხს ითხოვს პარტიის თუ პოლიტიკოსის მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებზე.

კითხვის დასმის დროს წამყვანს მოჰყავს არგუმენტები. მას შესწავლილი აქვს პოლიტიკური პარტიის თითქმის ყველა ქმედება, გაკეთებული განცხადებები, რასაც საჭიროებისამებრ იშველიებს კონტრარგუმენტად. კითხვების დროს იშველიებს სტატისტიკას, დამხმარე ვიდეომასალას, ციტატებს სტატიებიდან, კვლევებიდან, სოციალური ქსელებიდან.

წამყვანი კონცენტრირებულია, რომ დასმულ კითხვაზე ცხადი პასუხი მიიღოს, ამით ნათელი გახადოს პოლიტიკოსის პოზიცია. როგორც წესი პოლიტიკოსები იშვიათად ტოვებენ კითხვებს უპასუხოდ, ყველა უხერხულ კითხვაზე შეეძლიათ რაიმე პასუხის გაცემა, თუმცა “ინტერვიუს” წამყვანი უმრავლეს შემთხვევაში არ იღებს “რადაც პასუხს” და ცდილობს კონკრეტული ინფორმაციის მიღებას შემხვედრი ლოგიკური კითხვების ჯაჭვით. მაგალითად პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით რესპოდენტი [ირაკლი კობახიძე ცდილობდა](#) დისკუსია თეორიულ ჭრილში გადაეტანა, რათა არ დაეფიქსირებინა პოზიცია საქართველოს პრეზიდენტთან დაკავშირებით. წამყვანს დასჭირდა 1 მთავარი და 4 დამაზუსტებელი კითხვა იმისათვის, რომ მკაფიო პასუხი მიეღო პოლიტიკოსისგან - მაყურებელმა შეიტყო, რომ ირაკლი კობახიძე საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

წამყვანი შეფასებებში არ ერიდება იყოს მკვეთრი, რაც გამომდინარეობს არა მიკერძოებიდან, არამედ რესპოდენტისადმი კრიტიკული დამოკიდებულებიდან და ამ შეფასებების გამყარებას კითხვაშივე ცდილობს ფაქტებით.

მაგალითად [ზურაბ ჯაფარიძეს \(გირჩი\) ჰკითხა:](#)

„საკმაოდ შეიძლება გროტესკულად, კომიკურად აღიქმებოდა მაგალითად, თქვენი პორტრეტი პლაკატზე, რომელსაც ეწერა „სახელმწიფო ხალხისათვის“. თქვენ ლიბერტარიანული ცენტრი, მცირე მთავრობის მომხრე ცენტრი, პიროვნული, ეკონომიკური თავისუფლების მომხრე ცენტრი, პოლიტიკური გაერთიანება. ასევე პაატა ბურჭულაძე, რომელიც გამოდიოდა და ამბობდა, რომ მარიხუანა უნდა გაყიდულიყო აფთიაქებში. მას ხშირად ისიც ეშლებოდა ერთმანეთში რა არის რეკრეაციული მომხმარებელი, რა არის ინტრავენული მომხმარებელი. იმიტომ კი არა რომ, მას ეს არ აინტერესებს, არამედ აშკარა იყო, რომ მისი თემა ეს არა რის. ეს არ ნიშნავს სწორედ ღალატს პრინციპების და სწორედ ჟონგლიორობას სხვადასხვა ღირებულებებით?“

სალომე ასათიანი ახერხებს დაანახოს მსმენელს საერთო სურათი. არ იხილავს ერთ პატარა მოვლენას უკონტექსტოდ სიღრმის გარეშე სწორედ ამის გამო, არის ინფორმაციული.

წამყვანი, მიუხედავად უმწვავესი კამათისა, მუდმივად ინარჩუნებს საუბრის მშვიდ ტონს და არის ბოლომდე გაწონასწორებული.

რეალური სივრცე

საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთი გადაცემა მიემდგვნა არჩევნების თემატიკას. ოქტომბრის თვეში რეალური სივრცე დაუბრუნდა ძველ ფორმატს და მისი განსახილველი თემა საზოგადოებრივი პრობლემები იყო.

30 სექტემბერს გასული გადაცემა საარჩევნო სუბიექტებს შორს ეკონომიკის თემაზე დისკუსიას ისახავდა მიზნად. თუმცა გადაცემაში არ მონაწილეობდნენ პარტიების ლიდერები, დისკუსიამაც დინამიკის გარეშე ჩაიარა. ამასთან კითხვების დასასმელად გადაცემაში მოწვეული იყვნენ ეკონომისტები, რომლებიც „საზოგადოებას არჩევანის უკეთ გააზრებაში“ უნდა დახმარებოდნენ, თუმცა დისკუსია უფრო პროფესიულ განხილვაში გადაიზარდა და რთული გასაგები იყო.

რუსთავი 2

ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ზე მონიტორინგდებოდა გადაცემა „არჩევანი 2016“, რომელიც კვირაში რამდენჯერმე გადიოდა ეთერში. ასევე დაკვირვების ქვეშ იყო „შაბათის კურიერის“ ის ნაწილი, სადაც წამყვანი სტუმრებთან ერთად განიხილავს თემას.

არჩევანი 2016

წინასაარჩევნო პერიოდში გადაცემა „არჩევანი“ განსხვავებულ ფორმატში გადიოდა ეთერში, ყოველ სამშაბათს ჯერ რეგიონების მიხედვით პარტიათა მაჟორიტარობის კანდიდატების დებატები მოვისმინეთ, შემდეგ კი პარტიების ხედვების პრეზენტაციას მიემდგვნა გადაცემა, ხოლო ბოლო ბლოკში “რუსთავი 2” - ის ჟურნალისტები „ჰარდ თოკის“ ფორმატში, სტუმრებს კითხვებს უსვამდნენ. პირველი და მეორე ტურის წინ, ერთი კვირის განმავლობაში გადაცემა ეთერში გადიოდა ყოველ სამუშაო დღეს, პარასკევის გარდა, არ ჰქონდა განსაზღვრული ქრონომეტრაჟი და ზოგჯერ 2, 3 და 4 საათსაც კი გრძელდებოდა.

მეორე ტურის გამართვამდე, გადაცემაში მონაწილეობდნენ შემდეგი პარტიის წარმომადგენლები: ქართული ოცნება, "ნაციონალური მოძრაობა", "ლეიბორისტული პარტია", "თავისუფალი დემოკრატები", რესპუბლიკელები, სახელმწიფო ხალხისთვის. აგრეთვე მრეწველების წარმომადგენელი სიმონ ნოზაძე, რომელიც მაჟორიტარი კანდიდატი იყო ხაშურში. არჩევნების დასრულების შემდეგ კი სტუმრად მოიწვიეს ნინო ბურჯანაძეც, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი.

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მონაწილეობაზე ქართულმა ოცნებამ უარი განაცხადა 5-ჯერ. შესაბამისად, ეს პარტია საანგარიშო პერიოდში “არჩევანი 2016-ში“ 5-ჯერ იყო წარმოდგენილი. სხვა პარტიების მონაწილეობის სიხშირე შემდეგი იყო: "ნაციონალური მოძრაობა" - 11, "ლეიბორისტული პარტია" - 6, "რესპუბლიკური პარტია" - 6, "თავისუფალი დემოკრატები" - 6-, სახელმწიფო ხალხისთვის- 6, მრეწველები - 1, დემოკრატიული მოძრაობა - 1.

არჩევნებში მონაწილე ყველა კვალიფიციურ სუბიექტს ჰქონდა შესაძლებლობა, საკუთარი ხედვები ამომრჩევლისთვის გაეცნო. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტურის კენჭისყრის დღემდე სხვადასხვა თემაზე სადისკუსიოდ ზემოთ აღნიშნული პარტიის წარმომადგენლები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი, შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლის შემთხვევაში მაინც გამოვლინდა არასამართლიანი მიდგომა.

მაგალითად, 18 ოქტომბერს გადაცემაში საზოგადოების წევრები საუბრობდნენ საფრთხეებზე რაც მოჰყვება “ქართული ოცნების” მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღებას და ფაქტობრივად მოუწოდებდნენ მოქალაქეებს, რომ "ქართული ოცნებისთვის" ხმა არ მიეცათ მეორე ტურში. შემდეგ კი "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი ელენე ხოშტარია ჩართეს და მისცეს დრო აუდიტორიისთვის მისამართად. აღსანიშნავია, რომ სამი დღით ადრე გიორგი გაბუნას გადაცემა „შაბათის კურიერში“, სადაც ელენე ხოშტარია იყო მიწვეული ამავე თემაზე სასაუბროდ. ეთერში მეორე ტურის მონაწილე მხოლოდ ერთი კანდიდატის მოწვევა არათანაბარ ვითარებაში ამყოფებს სხვა კანდიდატებს.

გადაცემის ერთ ბლოკში ჟურნალისტები უსვამდნენ კითხვებს პარტიის წარმომადგენლებს, კრიტიკული კითხვების დასმით უნდა წარმოჩენილიყო მათი განვლილი გზა, დაშვებული შეცდომები, რეალური სახე, რაც მოქალაქეებს დაეხმარებოდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. შეიძლება ითქვას ამ ამოცანას ჟურნალისტებმა სუსტად გაართვეს თავი, ვინაიდან მათ მიერ დასმულ კითხვებს აკლდა არგუმენტაცია, ფაქტებით გამყარება. ნაცვლად ამისა, ჟურნალისტები ცდილობდნენ რესპონდენტების “გამოტეხვას” დაჟინებული კითხვებით.

მაგალითად, 27 სექტემბერს როდესაც გადაცემას სტუმრობდა პარტია “პაატა ბუჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის”, ჟურნალისტმა თამარ ბალაშვილმა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით დასვა კითხვები. ცდილობდა გაერკვია, თუ ვინ აფინანსებს პარტიას რეალურად და მაშინ, როდესაც სხვა პარტიის შემომწირველებს პრობლემა ექმნება, რატომ არიან “სასათბურე პირობებში” სახელმწიფო ხალხისთვის შემომწირველები. ჟურნალისტისა და პარტიის წარმომადგენელთა დისკუსია საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, თუმცა ჟურნალისტს არ ჰქონდა მტკიცებულება, ეჭვი შეეტანა პარტიის მიერ აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილ შემომწირველების სიებში. პარტიის წარმომადგენლები სთხოვდნენ ჟურნალისტს მოეხმო კონკრეტული მაგალითები, ის შემომწირველები,

რომლებიც ეჭვს იწვევენ, ჟურნალისტმა რამდენიმე დასახელება და იკითხა თუ ვინ არიან, დასახელებულთაგან ერთი გიორგი ვაშაძის ცოლი გამოდგა, მეორე კი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი. თუ ჟურნალისტს ეჭვი ჰქონდა შემომწირველების ნამდვილობასთან დაკავშირებით, უმჯობესი იყო გადაცემის დაწყებამდე შეესწავლა მათი ვინაობა და კონკრეტული ფაქტებით გაემყარებინა საკუთარი ეჭვი და პასუხი მოეთხოვა პარტიისთვის.

3 ოქტომბერს დედაქალაქის პრობლემებზე სასაუბროდ მოსული პარტიებიდან ჟურნალისტებს კითხვები ფაქტობრივად, მხოლოდ ქართულ ოცნებასთან ჰქონდათ. სხვა პარტიების წარმომადგენლები მათ შორის გამართულ დისკუსიას ისმენდნენ.

ამავე გადაცემაში გიორგი გაბუნიაშვილი ეთიკური ჟურნალისტიკისთვის შეუსაბამო ტექსტი გამოიყენა, როდესაც განაცხადა:

„თბილისში რკინა-ბეტონის უსახურ კორპუსებს მუდმივი ორგანიზმი აქვთ, ისინი ისე ახლო-ახლოს დგანან ერთმანეთთან, ისე ეხუტებიან და ეხახუნებიან ერთმანეთს, რომ სხვა გამოსავალი არც აქვთ, ისინი დაუსრულებლად აუპატიურებენ ერთმანეთს და ქალაქსაც. შედეგად სახეზეა, მრავალსართულიანი შენობები გოჭებივით მრავლდებიან და შეჩერებას არც აპირებენ. სამაგიეროდ მათი მწვანე თანამოქალაქეებისთვის გამრავლება და გახარება სულ უფრო და უფრო რთული ხდება“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია 5 ოქტომბრის გადაცემა, სადაც ჟურნალისტები ამჯერად ქართულ ოცნებას უსვამდნენ კითხვებს. გადაცემის დიდი ნაწილი რესპონდენტებსა და ჟურნალისტებს შორის უსაგნო კამათსა და ურთიერთბრალდებებს დაეთმო. იყო კონფრონტაციული ტონი, რესპონდენტები არკვევდნენ რამდენად ეთიკური ან არაეთიკური იყო ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვა. გამოიყენეს არაკორექტული გამონათქვამები.

ჟურნალისტების კითხვები ზოგ შემთხვევაში ბუნდოვანი იყო, მაგალითად არაფორმალურ მმართველობასთან დაკავშირებით აკაკი გოგიჩაიშვილი და მოწვეული სტუმრები 7 წუთის განმავლობაში არკვევდნენ კითხვის არსს. მოგვიანებით, სხვა თემაზე გაიმართა დაახლოებით 14 წუთიანი მსჯელობა, თუ რა ფორმულირებით დასვა კითხვა ჟურნალისტმა. რესპონდენტები ჟურნალისტებს მიმართავდნენ, როგორც ოპონენტ მხარეს.

ჟურნალისტმა ნათია ტრაპაიძემ კითხვა ისეთი ფორმულირებით დასვა, რომ ფაქტად წარმოაჩინა, რომ ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით აკავებენ. “რატომ არ აღიარებთ, რომ გყავთ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანები?” ამის დასადასტურებლად თქვა, რომ “როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო ინსტიტუტები საკუთარ ანგარიშებში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი პატიმრის საქმეში იკვეთება პოლიტიკური ინტერესი.”

მას შემდეგ, რაც კახა კალაძემ დაკონკრეტება სთხოვა, ჟურნალისტმა მაგალითად დაასახელა გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალია, რასაც "ქართული ოცნების" მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა იმის დასამტკიცებლად, რომ ბაჩო ახალიას მიმართ პოლიტიკურად მოტივირებული ქმედება არ ყოფილა. ასეთ დროს უმჯობესია ჟურნალისტმა საკუთარი კითხვა გაამყაროს აღნიშნული ანგარიშებიდან ამონარიდებით, სხვა არსებული მტკიცებულებებით და ნაკლები საშუალება დაუტოვოს რესპონდენტებს სპეკულაციისთვის.

მოგვიანებით, ჟურნალისტმა თეა ადგიშვილმა სტუმრებს მიმართა და დაინტერესდა რომელი მათგანი იყო ბოლოს მუზეუმში. რესპონდენტები დაიბნენ. მათ უნდა სცოდნოდათ, ვინ როდის იყო მუზეუმში, რომელი მათგანის მისვლა იყო ყველაზე „ბოლოს“ და უნდა აეწიათ ხელი. დიდი ხანი იჩითირეს, ჯერ კითხვის დაზუსტება სთხოვეს ჟურნალისტს, „ბოლოს“ რას ნიშნავდა. საბოლოოდ, გუნდი მანანა კობახიძემ „იხსნა“ და თქვა, რომ სვანეთის მუზეუმში იყო.

ჟურნალისტს პასუხი არ მოეწონა: “არა, მე მინდოდა ყოფილიყავით ეროვნულ მუზეუმში, მაგრამ არა უშავს” დიდხანს კვლავაც კითხვის ეთიკურობაზე იმსჯელეს. საბოლოოდ გაირკვა რომ ჟურნალისტს ეს შესავალი ამ კითხვის დასასმელად სჭირდებოდა:

“საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დღესაც გამოფენილია არტეფაქტები რომლის დათვალიერების დროსაც ჩვენ ექსკურსიამბლოლები გვეუბნებიან რომ ეს ექსპონატები მოპოვებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე მეოთხე საუკუნეების არტეფაქტია მოპოვებულია საყდრისი-ყაჩაღიანის გორაზე და ის უძველეს ოქროს მღაროდან არის ამოღებული ექსპონატი. იტყუებიან ჩვენი ისტორიკოსები როცა ჩვენ მუზეუმში მივდივართ და თუ იტყუებიან რატომ არის მაშინ ეს ექსპონატი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თუ ისინი არ იტყუებიან მაშინ რატომ ააფეთქეთ საყდრისი, თუ საყდრისმა თვითონ აიფეთქა თავი როგორც თარგამაძემ?”

უმჯობესი იყო ჟურნალისტს მოეტანა საყდრისთან დაკავშირებით არაერთი ორგანიზაციის დასკვნა, ანგარიშები, მედიის მიერ მომზადებული საგამომიებო ფილმიდან ინფორმაცია და დოკუმენტურად, მტკიცებულებებით დაესვა კითხვა გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით. ჟურნალისტმა ამგვარი ფორმულირებით დასმული კითხვით, ფაქტობრივად ვერ მიიღო პასუხი, არასერიოზულად იქნა აღქმული და არაერთი წუთი დაიხარჯა უსაგნო დისკუსიაში.

გადაცემის ბოლოს კი უკვე რესპონდენტებმა და ჟურნალისტებმა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები გამოიყენეს ერთმანეთის მიმართ. ასეთი ხანგრძლივი დისკუსია ისე დასრულდა, რომ ამომრჩეველმა ახალი და დამატებითი თითქმის ვერ გაიგო.

ამ საანგარიშო პერიოდშიც „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ეთერში აკეთებდა ფაქტობრივად პოლიტიკურ შეფასებებს. მაგალითად 11 ოქტომბერს მან თქვა, რომ მეორე ტურში „ქართული ოცნების“ გამარჯვება იქნება კატასტროფა. იგი მოუწოდებს მაყურებლებს, მხარი დაუჭირონ პროდასავლურ პარტიებს. მაგალითად ასახელებს ლეიბორისტებსაც, ამბობს რომ ესაა ერთადერთი პროდასავლური მემარცხენე პარტია ქვეყანაში. ცესკოს თავმჯდომარის მიმართ კი იყენებს ასეთ ფრაზას „ქალბატონი თამარ ჟვანია თუ რამეს ატარებს ეს არის მარგალიტის მძივი“. გენერალურმა დირექტორის ასეთმა ღია შეფასებებმა შესაძლებელია გავლენა იქონიოს არხის მიუკერძოებლობაზე, აღქმული იყოს როგორც კონკრეტული პოზიციის გამტარებელი და ხელი შეუწყოს საზოგადოების მხრიდან ტელევიზიისადმი ნდობის დაკარგვას.

გადაცემის ის ბლოკი, სადაც პარტიის წარმომადგენლები კონკრეტულ თემაზე კამათობდნენ, ყველაზე საინტერესო იყო ისევე როგორც წინა სამონიტორინგო პერიოდში.

შაბათის კურიერი

გადაცემა ყოველ შაბათს გადის ეთერში, ერთი ნაწილი მიმდინარე ამბების შესახებ სიუჟეტებს ეთმობა, მეორე ნაწილი კი - სტუმრებთან საუბარს. მონიტორინგის პერიოდში გასული 5 გადაცემიდან 4-ში მონაწილეობდნენ მონიტორინგის სუბიექტები - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (5), „ქართული ოცნება“ (2), „თავისუფალი დემოკრატები“ (2), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (1), „ლეიბორისტული პარტია“ (1). ერთი გადაცემა კენჭისყრის დღეს გავიდა და ტრადიციული ფორმატი არ ჰქონია.

მართალია, სტუმრებს შორის "ნაციონალური მოძრაობის" წევრები დომინირებენ, მაგრამ წამყვანი აღნიშნავდა, რომ მან შესთავაზა ოცნების წევრებს გადაცემაში მოსვლა, მათ კი უარი განაცხადეს (მაგ. 29 სექტემბერს).

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 15 ოქტომბერს, როდესაც საზოგადოების წევრები საუბრობდნენ ერთი პარტიის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების საფრთხეებზე, ელენე ხოშტარია (ნაციონალური მოძრაობიდან) იყო ერთადერთი საარჩევნო სუბიექტი, რომელიც ეთერში ჩართეს.

წამყვანი დისკუსიისთვის იყო მომზადებული, იცოდა თემა, რის შესახებაც სტუმრებს ესაუბრებოდა. კითხვები იყო ცხადად და კონკრეტულად ფორმულირებული.

იმედი

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას “ღია ეთერი”, რომელიც კვირაში ორჯერ - ოთხშაბათსა და პარასკევს გადაიცემოდა.

ღია ეთერი

გადაცემა ყოველ პარასკევს გადიოდა ეთერში. გამონაკლისია კენჭისყრის დღე, 8 ოქტომბერი როდესაც ასევე ეთერში იყო. განსახილველი თემა უმრავლეს შემთხვევაში არჩევნები და „მოსალოდნელი დესტაბილიზაცია“ იყო. სტუმრად მოწვეულნი იყვნენ შემდეგი პარტიები:

"ქართული ოცნება" - 10, "ნაციონალური მოძრაობა"- 9 (არ მიიღეს მონაწილეობა ერთ დღეს), "თავისუფალი დემოკრატები" - 3, "პატრიოტთა ალიანსი" - 3, სახელმწიფო ხალხისთვის - 2, "რესპუბლიკური პარტია" - 1, ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა - 1, "ეროვნული ფორუმი"- 1, დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 2.

აღსანიშნავია, რომ 30 სექტემბერს "ქართული ოცნების" წევრი ოთარ აბესაძე საზოგადოების წევრებთან ერთად საუბრობდა როგორც ეკონომიკის დოქტორი.

საანგარიშო პერიოდის პირველ ეტაპზე არაერთი დისკუსია მიემდგვნა “მოსალოდნელ დესტაბილიზაციას” 30 სექტემბერს ამავე თემაზე საუბრისას გადაცემის ინტერაქტივში, სადაც შეკითხვა ეხებოდა იმას, თუ რამდენად რეალურია ქვეყანაში მოვლენების რევოლუციური სცენარით განვითარება, აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 80%-ზე მეტმა, დააფიქსირა, რომ ასეთი საფრთხე არ არსებობს, თუმცა, მთელი 1.5 საათი მაინც ამ თემის განხილვას.

3 ოქტომბერს როდესაც კვლავაც „მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე“ საუბრობდნენ, "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა პეტრე ცისკარიშვილმა არაერთი დაპირება გააჟღერა ეთერში - “იქნება უფრო მეტი ინვესტიცია ქვეყანაში, უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, არსებულ სამუშაო ადგილებზე გაიზრდება შემოსავლები და ხელფასები იმიტომ, რომ ქვეყანაში იქნება სტაბილურობის პერსპექტივის განცდა, სადაც ინვესტორი ადგილობრივი მეწარმე ყველა იგრძნობს თავს დაცულად და მომავლის პროგნოზირების საშუალება ექნება და არა ისე რა მდგომარეობაშიც ეხლა ცხოვრობენ, უფრო გაიზრდება პენსიები, პედაგოგებს ექნებათ უფრო ღირსეული ანაზღაურება, ჩვენ ვიზრუნებთ მაღალი ხარისხის განათლებაზე, ჯანდაცვაზე გვაქვს ძალიან კონკრეტული გეგმა”

ამ ტექსტის შემდეგ წამყვანი არ სთხოვს რესპონდენტს დაასაბუთოს, ამ დაპირებების შესრულებას როგორ აპირებენ, ან როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ, რამ შეუშალათ ხელი. ნაცვლად ამისა ისევ “რევოლუციურ სცენართან” ტრიალებს: “*თქვენ ამბობთ, რომ ქართული*

საზოგადოება არ დაუშვებს არჩევნების გაყალბებას [...] ამ მოცემულობის მიხედვითაც კი ცესკომ ის შედეგი რომ არ დადოს, რომელიც თქვენთვის არ იქნება სასურველი, ამ შემთხვევაში რას აპირებს "ნაციონალური მოძრაობა"?"

აღსანიშნავია, რომ ამავე ეთერში თამარ ჩუგოშვილს, "ქართული ოცნების" წევრს წამყვანმა ჰკითხა „შთაბეჭდილება რჩება, რომ რევოლუციურ სცენარსა და დესტაბილიზაციას მუდმივი აპელირებით სახელისუფლებო პარტიამ წინასაარჩევნო დებატებიდან თითქმის განდევნა საგნობრივი დისკუსია და დებატები“ - ეს მაშინ, როდესაც ამას თავადაც შეუწყო ხელი და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის დებატების ნაცვლად არაერთი საათი “მოსალოდნელ დესტაბილიზაციას” და “რევოლუციურ სცენარს” დაუთმო.

საარჩევნო თემებზე პარტიების წარმომადგენლებთან საუბრისას წამყვანს არ დაუსვამს კითხვები საარჩევნო პროგრამიდან. თუ ჟურნალისტი არ იცნობს საარჩევნო პროგრამებს, შეიძლება ჰკითხოთ საარჩევნო სუბიექტს რა ტიპის რეფორმების გატარებას აპირებს მისი პარტია განათლების სექტორში, ჯანდაცვის სფეროში, სოფლის მეურნეობაში, სოციალური სფეროში. მოწყვლადი ჯგუფების, ადამიანის უფლებების, შრომის უსაფრთხოების, ეკონომიკური ზრდის, ბიზნესის წახალისების კუთხით. ნაცვლად ამისა, წამყვანმა მაგალითად 26 სექტემბერს იკითხა თუ რა არის ის ხუთი მთავარი დაპირება, რასაც პარტია ამომრჩევლებს სთავაზობს და ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი? შედეგად მთელი ერთი საათის განმავლობაში რესპონდენტები საუბრობდნენ თავიანთ დაპირებებზე ისე, რომ ჟურნალისტს არ ჰქონია დამატებითი შეკითხვები, მას არ მოუთხოვია რესპონდენტებისთვის კონკრეტული გეგმები თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

ასევე წარიმართა საუბარი მეორე ტურში გასულ კანდიდატებთანაც. არც ერთ კონკრეტულ საკითხზე ამომრჩეველს გადაცემიდან არ მოუსმენია, თუ რა ხედვა და გეგმა აქვს კანდიდატს. მაგალითად, 17 ოქტომბერს (მეორე ტურამდე 13 დღით ადრე) წამყვანს სტუმრად ჰყავდა ორი კანდიდატი - “ნაციონალური მოძრაობიდან” გია ბარამიძე და “ქართული ოცნებიდან” ლევან კობერიძე. არ დაუსვამს არც ერთი კითხვა პროგრამიდან, არც მათი წარსულიდან, რათა ეჩვენებინა რამდენად თანმიმდევრულია თავის ქმედებაში ბარამიძე, რამდენად ღირს რომ გლდანელმა ამომრჩევლებმა მას ხმა მისცენ. ან ლევან კობერიძე, ახალი სახე პოლიტიკაში, რა ღირებულებების მქონე ადამიანია, რა დამოკიდებულება ექნება სხვადასხვა საკითხებთან, მოწყვლად ჯგუფებთან, რა გამოცდილება აქვს? რა მიზნით მიდის პოლიტიკაში?

ნაცვლად ამისა, წამყვანი ხშირად სვამდა კითხვებს, რომლებიც ერთგვარ პროგნოზებს მოითხოვდა რესპონდენტისგან - რა შანსები გაქვთ? რამდენ მანდატს მოიპოვებთ? თუ დამარცხდით რას იზამთ? რატომ ვერ გაიმარჯვებთ პირველივე ტურში?

ტოქშოუში მეორდებოდა ახალ ამბებში გასული ინფორმაცია ისე, რომ დამატების აუდიტორია ვერაფერს ისმენს. მაგალითად 10 ოქტომბერს ქრონიკამ 4 წუთიანი სიუჟეტი

მიუძღვნა "ნაციონალური მოძრაობის" პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხს, წიკითხეს შოთა უტიაშვილის ფეისბუქ პოსტი ამავე თემაზე. სადამოს ღია ეთერში კი ასევე შოთა უტიაშვილი ჩართეს, რომელმაც გაიმეორა იგივე, რაც დაწერა პოსტში და რაც იყო განხილული ქრონიკაში.

ღია ეთერის სტუმარი იმავე დღეს იყო ლევან სამუშია, რომელსაც მოუწია პასუხი გაეცა კითხვებზე მისი პარტიიდან ვინ მიდის და ვინ რჩება და რატომ. ქრონიკის მეოთხე სიუჟეტი სწორედ ამ თემას ეხებოდა, სადაც ლევან სამუშიაც ჩანდა. მას ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა. ამის მიუხედავად სამუშია მიიწვიეს ტოქშოუში და იგივე მოვისმინეთ, რაც ქრონიკის სიუჟეტში.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას რომ გადაცემაში სიღრმისეული დისკუსია არ გამართულა, ზედაპირული მსჯელობას ეთმობოდა საათნახევარი. ამომრჩევლები ვერ იღებდნენ დამატებით ინფორმაციას კანდიდატების შესახებ.

GDS

ტელეკომპანია GDS-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემა 2030-ის იმ ნაწილს, სადაც სტუმრებთან ერთად ტოქშოუს ფორმატში განიხილავენ სხვადასხვა თემას. აგრეთვე გადაცემას „59 წამი“, ყოველ კვირას 21:00 საათზე


2030

როგორც გასულ სამონიტორინგო პერიოდში, ამჯერადაც გადაცემა 2030 ყოველდღიურად იწვევდა რამდენიმე სტუმარს საინფორმაციო გადაცემის დასრულების შემდეგ და მიმდინარე თემებს განიხილავდა მათთან. საანგარიშო პერიოდში კენჭისყრის დღემდე სადისკუსიო თემა ძირითადად 2 იყო - მოსალოდნელი დესტაბილიზაცია და პარტიების შანსები პარლამენტში მოსახვედრად. კენჭისყრის დღის შემდეგ კი განიხილავდნენ არჩევნების მეორე ტურში პარტიების პერსპექტივას და მსჯელობდნენ უნდა ჰქონდეს თუ არა ქართულ ოცნებას საკონსტიტუციო უმრავლესობა.

წინა პერიოდების მსგავსად ამ საანგარიშო პერიოდშიც განსაკუთრებით დიდი დრო დაეთმოთ "ქართული ოცნების" წევრებს, მათი 27 წარმომადგენელი იყო გადაცემაში მიწვეული (მათ შორის ირაკლი კობახიძე 4-ჯერ) მაშინ, როდესაც სხვა არც ერთი პარტიის 7-ზე მეტი წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა. წამყვანის თქმით, "ნაციონალური მოძრაობა" არხს ბოიკოტს უცხადებს.

დამოუკიდებელი კანდიდატებიდან 2030-ის ეთერში საუბრობდნენ სალომე ზურაბიშვილი (მთაწმინდის ოლქი) და ვაკის ოლქის მაჟორიტარები ჰამლეტ გეგია და გია ფაცურია, რომლებიც არჩევნებამდე ორი დღით ადრე, 6 ოქტომბერს სტუმრობდნენ გადაცემას. რა

ნიშნით შეარჩიეს ისინი 2030-ში მონაწილეობის მისაღებად და რატომ ვერ დაიმსახურა გადაცემის ყურადღება სხვა დამოუკიდებელმა კანდიდატებმა გაურკვეველი დარჩა. ეთერში არც ის კანდიდატები მიუწვევიათ, რომლებიც გამონაკლისები აღმოჩნდნენ, არ იყვნენ არც "ქართული ოცნების" და არც "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, თუმცა მეორე ტურში გავიდნენ - სიმონ ნოზაძე (მრეწველები) და თეიმურაზ გაფრინდაშვილი (თავისუფალი დემოკრატები)



წამყვანის კითხვები კვლავაც ეფუძნებოდა სხვათა შეფასებებს და რესპონდენტებს უწევდათ მათზე მსჯელობა. დისკუსია უმთავრესად პროგნოზებზე იყო ორიენტირებული. არაერთ სტუმარს დაუსვა წამყვანმა კითხვა “რა შანსი გაქვთ პარლამენტში მოხვედრის?” “რა შედეგებს ელოდებით?”, ცხადია ყველა პარტიის წარმომადგენელი ამბობდა, რომ გამარჯვებას ელოდება.

მეორე ტურთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არსებობდა აზრი, რომ ქართულ ოცნებას არ უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა და ამიტომ ხმა ნაციონალურ მოძრაობას უნდა მისცენ, თუმცა ამ თემაზე საუბრისას 2030 ში ეს პოზიცია არ წარმოჩენილა, ყველა მოწვეული სტუმარი საპირისპირო აზრს ამბობდა, აკრიტიკებდა ოპონენტების მოსაზრებას და აღნიშნავდა, რომ "ნაციონალური მოძრაობისთვის" ხმის მიცემა დაუშვებელია, რომ ეს პარტია არის მოძალადეთა დაჯგუფება და ა.შ. ფაქტობრივად,

ეთერიდან მოსახლეობას მოუწოდებდნენ ხმა "ქართული ოცნებისთვის" მიეცათ. საპირისპირო პოზიცია არ გაჟღერებულა.

30 სექტემბერს სხვადასხვა პარტიის მაჟორიტარი კანდიდატები სტუმრობდნენ გადაცემას. წამყვანმა თითოეულ კანდიდატს წაუკითხა თუ რა რეიტინგი აქვთ ტელეკომპანია "იმედის", ასევე გამოცემების "პალიტრისა" და "for.ge"-ს კვლევების მიხედვით და ამ შედეგების გათვალისწინებით ჰკითხა, თუ რა შანსები ჰქონდათ პარლამენტში მოსახვედრად. აღსანიშნავია, რომ "პალიტრამ" და "for.ge"-მ გამოკითხვა საკუთარ ვებსაიტზე გააკეთეს და მისი რეპრეზენტატულ მონაცემად მიჩნევა დაუშვებელია. სწორედ იმის გამო, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევები მანიპულაციის საშუალებას იძლევა, მაუწყებელთა ქცევის კოდექსში ცალკე თავი ეთმობა მის გაშუქებას. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევის შედეგების სანდოობაში ეჭვის შეტანის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელი უნდა დარწმუნდეს კვლევის მეთოდოლოგიის სისწორეში, შედეგების საიმედოობაში და იმ ხალხის ობიექტურობაში, რომელთაც აღნიშნული კვლევა ჩაატარეს ან დაუკვეთეს.

ქარტიის საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევების გაშუქების სახელმძღვანელო წესების თანახმად², რომელიც თავის მხრივ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას ეყრდნობა, ონლაინ კვლევები დიდი სიფრთხილით უნდა შეფასდეს გამოყენებამდე. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი აზრის გამომრკვევი იყენებს კვლევის ჩასატარებლად აუცილებელ ფუნდამენტურ მეთოდებს, თუ ინტერესის ობიექტებს აქვთ უნივერსალური წვდომა ინტერნეტზე, მხოლოდ მაშინ ონლაინ კვლევები შეიძლება ჩავთვალოთ გასაშუქებლად სანდო წყაროდ.

ამ კონკრეტულ გადაცემაშიც რესპონდენტთა უმრავლესობამ წამყვანს უპასუხა, რომ ინტერნეტკვლევას ისინი რეპრეზენტატულად არ მიიჩნევენ. შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად 2030-ში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს დიდი დრო დაეთმო. წამყვანი სტუმართა უმრავლესობასთან განიხილავდა სხვადასხვა კვლევის შედეგებს და რესპონდენტებს საკუთარი პროგნოზის გაკეთებას სთხოვდა.

მაგალითად [5 ოქტომბერს](#) "თავისუფალი დემოკრატიების" წევრ გია ცაგარეიშვილთან ასეთი დიალოგი გაიმართა:

- როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა "ნაციონალურ მოძრაობას" მეორე პოზიციაზე გასვლის შანსი
- ვნახოთ, ეს გაირკვეს სულ რაღაც ორ დღეში
- ორ დღეში გავიგებთ, თუმცა, დღეს თუ შეგიძლიათ რომ გარკვეული პროგნოზი გააკეთოთ რამდენად აქვთ ამის რესურსი და ამის შანსი

² <http://qartia.org.ge/2016/07/22/poll/>

- მე ვისურვებდი ერთ რამეს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ამ ქვეყნის სათავეში არ დაბრუნებულიყო [...] ვინ გავა პირველ მეორე მესამე მეოთხე ადგილზე ვნახოთ, დარჩა რამდენიმე დღე, რამდენიმე საათი... დაველოდოთ 8 ოქტომბერს.

ასევე კვლევებთან დაკავშირებით აღსანიშნავია "ქართული ოცნების" წევრ ირაკლი კობახიძესთან საუბარი, როდესაც წამყვანმა მას უთხრა, რომ "მაესტროს" გადაცემის წამყვანის, შალვა რამიშვილის განცხადებით, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-მა კვლევები გააყალბა. "არსებობს ორი მონაცემი. პირადად თქვენ როგორ ფიქრობთ რის მიღწევა სურდათ და რა მიზანზე იყო ორიენტირებული [იგულისხმება გაყალბება]?" ამგვარი ფორმულირებით წამყვანმა დადასტურებულ ფაქტად წარმოაჩინა ერთი კონკრეტული პირის, ამ შემთხვევაში შალვა რამიშვილის ბრალდება. რითაც სპეკულაციის საშუალება მისცა რესპონდენტს მით უფრო იმ პირობებში, რომ მოპასუხე მხარე სტუდიაში არ იმყოფებოდა.

მართალია, საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე გაკეთდა განმარტება, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ბოიკოტს უცხადებს არხს, მაგრამ ასეთ პირობებში წამყვანი უნდა ცდილობდეს ბრალდებების შემთხვევაში თავად გაუწიოს ოპონირება, დასვას კონტრკითხვები.

წამყვანს არც [21 ოქტომბერს](#) დაუსვამს კრიტიკული კითხვები და მოუთხოვია დასაბუთება, როდესაც ყოფილი პატიმარი, ალექსანდრე ახალკაცი ჰყავდა სტუმრად, რომელმაც თქვა, რომ სასჯელადსრულების ყოფილმა მინისტრმა, ხათუნა კალმახელიძემ დაუკვეთა მისი წამება. ჟურნალისტმა, ნაცვლად იმისა, რომ მტკიცებულებები მოეთხოვა ამ მძიმე ბრალდების დასასაბუთებლად, ჰკითხა: - რატომ? მიზეზი რა იყო?

იგივე რესპონდენტი ბრალდებებს უყენებდა სანდრა რულოვსსაც და ამბობდა, რომ მას ციხეში შეჰქონდა წამლები, რომელსაც "პატიმრებს ასმევდნენ, ანგრევდნენ ფსიქიკურად და ყელს იჭრიდნენ თავებს იჩეხავდნენ".

წამყვანმა ერთერთი კითხვა ასეთი ფორმულირებით დასვა:

“რაც შეეხება თქვენს ისტორიას, ეს არის მორგის ისტორია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, რაც მე ვნახე „ჰეროკრატიაში“, ფილმში, რომელიც გოგა ხაინდრავამ გადაიღო და რომლის პირველი ორი სერია, თუ სწორად მახსოვს, თქვენს ისტორიაზეა აგებული. ანალოგი გახლავთ. ის ყველაფერი, რაც ფილმშია აღწერილი გამოსცადეთ საკუთარ თავზე ხომ? როგორ შეყავხართ მორგში გტოვებენ ციხის მორგში, გაბამენ გვამზე და აშ და აშ. რა იყო მიზეზი ანუ, რას ამბობდნენ რისთვის შეყავდით მორგში? რატომ ხდებოდა ისე, რომ ამ პატიმრებს შემდეგ აბამდნენ გვამებზე და ტოვებდნენ მთელი ღამის ან რამდენიმე დღის განმავლობაში, რა იყო ამის მიზეზი”

შემდეგ წამყვანი ასევე ინტერესდება თუ რა მდგომარეობაში არიან ისინი ვისაც გვამზე აბამდნენ.

ამგვარად დასმული შეკითხვებით ჟურნალისტი ფაქტად იღებს, რასაც რესპონდენტი საუბრობს და მიუხედავად იმისა, რომ ეთერში არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის, ეჭვი არ შეაქვს მის მონათხრობში.

7 ოქტომბერს ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენი გეზი დასავლეთისკენ არის მიმართული და უნდა განვაგრძოთ იქითკენ სვლა. “ჩვენ ვართ ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც ზუსტად დასავლური პოლიტიკური გუნდია და ჯგუფია”- თქვა მან. წამყვანს არ დაუსვამს კონტრკითხვები, არ შეახსენა ის განცხადებები, რასაც "პატრიოტთა ალიანსი" დასავლეთის წინააღმდეგ აკეთებდა წლების განმავლობაში.

იყო შემთხვევები, როდესაც გაუგებარი რჩებოდა რატომ განიხილავდა წამყვანი ამა თუ იმ საკითხს იმ სტუმართან, რომელსაც შესაძლოა ინფორმაცია არ ჰქონოდა. მაგალითად 12 ოქტომბერს "ქართული ოცნების" წევრ ირაკლი კობახიძესთან განიხილა ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენები:

„რა პროცესი მიდის თქვენს ოპონენტ პარტიაში?“

„ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, ლიდერებს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, მათ არ იცოდნენ თუ რა შედეგი დადგებოდა მათ პარტიასთან მიმართებაში?“

„იგივე ექსპერტები საუბრობენ, რომ გიგა ბოკერია ძლიერდება როგორც ლიდერი, ის ცდილობს ერთგვარი დისტანცირება მოახდინოს მიხეილ სააკაშვილისგან და ასევე, მას უწინასწარმეტყველებენ გაცილებით აქტიურ და ... პოლიტიკურ ცხოვრებას და ამავდროულად, მხარდამჭერთა უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე იმ სხვა დანარჩენ ნაციონალებს ვინც ვთქვათ რჩება ძველ გუნდთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ვთქვათ, პარლამენტში მუშაობა როგორ წარმოგიდგენიათ?“

59 წამი

საანგარიშო პერიოდში სულ 3 გადაცემა მოხვდა (25 სექტემბერი, 23, 2 ოქტომბერი), როდესაც გადაცემაში მონიტორინგის სუბიექტები მონაწილეობდნენ. სხვა შემთხვევაში არჩევნების თემაზე სასაუბროდ ექსპერტები და ანალიტიკოსები სტუმრობდნენ.

საერთო ჯამში, გადაცემაში რესპუბლიკელები 4-ჯერ მონაწილეობდნენ, 2-2-ჯერ იყვნენ წარმოდგენილნი "ქართული ოცნების" წევრები, "თავისუფალი დემოკრატები" და სახელმწიფო ხალხისთვის, "ეროვნული ფორუმი" 3-ჯერ სტუმრობდა გადაცემას, ერთხელ იყვნენ მიწვეულნი "პატრიოტთა ალიანსი" და "ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობა". 25 სექტემბრის გადაცემაში, რომელშიც მაჟორიტარი კანდიდატები მონაწილეობდნენ, წამყვანმა აღნიშნა, რომ მონაწილეობაზე უარი თქვეს “თავისუფალმა დემოკრატებმა”, "ნაციონალური მოძრაობა" კი არხს ბოიკოტს უცხადებს.

წამყვანი იყო მომზადებული, კითხვები - კარგად ფორმულირებული. რადგანაც ტაიმერი იყო ჩართული, რესპონდენტებს თანაბარი დრო დაეთმოთ და მიეცათ საშუალება, ერთმანეთისთვის პასუხი გაეცათ. ისევე როგორც წინა სამონიტორინგო პერიოდში, ახლაც უნდა აღინიშნოს, რომ ფორმატიდან გამომდინარე წამყვანი მოდერატორის როლს ასრულებს, არ ეძიება და არ აზუსტებინებს რესპონდენტს გარკვეულ საკითხებს, სწორედ ამიტომაც იყო შემთხვევები, როცა კონკრეტული ფაქტები მაყურებლისთვის ბუნდოვანი დარჩა. მაგალითად, 2 ოქტომბრის გადაცემაში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული რესურსი, თუმცა წამყვანს არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმობდნენ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში და არც კონკრეტული მაგალითების მოყვანა უთხოვია მათთვის.

მაესტრო

ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუებს „მაესტროს ფაქტორი“ და „ღამის კონტაქტი“. მათი ეთერში გასვლის პერიოდულობა სხვადასხვა იყო.


ღამის კონტაქტი

მიმდინარე სამონიტორინგო პერიოდში გადაცემას რამდენიმე წამყვანი ჰყავდა, განსხვავებით წინა საანგარიშო პერიოდისგან. თითოეული გადაცემა 2 ან 3 ბლოკისგან შედგება, თემები, ძირითადად გამომდინარეობს დღის ან კვირის მნიშვნელოვანი მოვლენიდან. ასევე, ცალკეულ ბლოკში მოცემულია ამ თუ იმ პარტიის წარმომადგენელთან ინტერვიუ და დასათაურებულია, როგორც, მაგალითად, "თავისუფალი დემოკრატების" პოლიტიკა, "ქართული ოცნების" პოლიტიკა და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში 5 ოქტომბერს, ღამის კონტაქტის ნაცვლად ეთერი დაეთმო საარჩევნოდ მომზადებულ გადაცემას "რეგიონები", ხოლო 24 და 26 ოქტომბერს მაყურებლისთვის გაუგებარი მიზეზით გადაცემა არ გავიდა ეთერში. აუდიტორიამ მხოლოდ 27 ოქტომბრის გადაცემის ბოლოს შეიტყო წამყვანისგან, რომ გადაცემა ეთერში აღარ გავიდოდა, თუმცა დახურვის მიზეზები არ აუხსნია. მკაფიო განმარტებები ამ საკითხზე არც არხის ხელმძღვანელობას გაუკეთებია, ცნობილია მხოლოდ ის, რომ არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის არხის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რამდენიმე გადაცემის დახურვა, ზოგიერთი გადაცემის პერიოდულობის გაზრდა და ა.შ.

ყველაზე დიდი დოზით, "ღამის კონტაქტის" ეთერში წარმოდგენილი იყო "ქართული ოცნება" - 16 რესპონდენტი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 9, "პატრიოტთა ალიანსი" - გაერთიანებული ოპოზიცია - 7, "თავისუფალი დემოკრატები" - 5, პაატა ბურჭულაძე-

სახელმწიფო ხალხისთვის - 7, ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა – 3; დამოუკიდებელი კანდიდატები – 3 (აქედან 2–ჯერ სალომე ზურაბიშვილი და ერთხელ ილია კოკაია), "ეროვნული ფორუმი" – 2, გირჩი – 3, მემარცხენე ალიანსი – 2, "რესპუბლიკური პარტია" – 1 და "მრეწველები" – 1.



განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო "ქართული ოცნების" წარმომადგენლების სიჭარბე წინასაარჩევნო [6 ოქტომბრის გადაცემაში](#), რომლის თემაც იყო ქართულ-ამერიკული ურთიერთობის 25 წლისთავი. მანამდე კი მანესტროს ეთერში გავიდა დოკუმენტურ ფილმი "მეოთხედი საუკუნე", რომელშიც აშშ-ს 8 ელჩი საუბრობს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებზე. ფილმში ერთ-ერთი ყოფილი ელჩი რიჩარდ მაილსი აკრიტიკებს სააკაშვილის ხელისუფლებას 2008 წლის ომის გამო. სწორედ ამ კონტექსტის გამლას მიუძღვნა გადაცემა ჟურნალისტმა (ქეთი ქაშაკაშვილი). გადაცემაში მიწვეულნი იყვნენ მხოლოდ "ქართული ოცნების" წარმომადგენლები, თანაც სამი რესპონდენტი – ერთი, უშუალოდ ფილმის რეჟისორი (ირაკლი მეზურნიშვილი), რომელიც იმავდროულად კენჭს იყრიდა კასპში ქართული ოცნებიდან და ორიც, ასევე "ქართული ოცნების" საარჩევნო კანდიდატები. გადაცემაში ისმოდა ფრაზა - "ეს არის განაჩენი "ნაციონალური მოძრაობისთვის". ჟურნალისტის მხრიდან არ იგრძნობოდა ჩაღრმავება საკითხში, არგუმენტირებული ოპონირება. ინტერესდებოდა იმით თუ "რატომ არის ეს ფილმი მნიშვნელოვანი თქვენთვის" და სხვა ამგვარ ზოგად კითხვებს სვამდა.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა გადაცემაში რომელიმე პარტიას მუდმივად ერთი და იგივე რესპონდენტი წარმოადგენდა. მაგალითად, ენმ–ს შემთხვევაში, გადაცემაში ძირითადად მონაწილეობდა გიგი წერეთელი, რომელიც ქუთაისში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია, ხოლო “ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის” შემთხვევაში, უშუალოდ პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე. იმის მიუხედავად, რომ ეს ერთი და იგივე რესპონდენტები იდენტურ განცხადებებს აკეთებენ ყოველ გადაცემაში, ჟურნალისტების მხრიდან ჩანდა ნაკლები ოპონირება და მათ მიერ დასმული საკითხების ნაკლები ცოდნა და ინფორმირებულობა. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე ყველა გადაცემაში სტუმრობისას იმეორებდა, რომ არჩევნები გაყალბდა, რომ მან დაწერა უამრავი საჩივარი, რითაც ითხოვდა უზნების გაუქმებას და იმის გამო, რომ როგორც თვითონ ამბობს, არჩევნები მართლაც გაყალბებულია, არ დაკმაყოფილდა მისი საჩივრები. წამყვანებს გადაცემის მომზადებამდე შეეძლოთ ენახათ ეს საჩივრები თავად ცესკოს ვებსაიტზე³ და ეჩვენებინა მაყურებლისთვის, თუ რას ეყრდნობოდნენ ისინი, რამდენად იყო უზნების გადათვლისთვის რეალური საფუძვლები და ამგვარად არ მიეცა რესპონდენტისთვის მხოლოდ მისთვის სასურველი ინფორმაციის ტირაჟირების შესაძლებლობა.

გადაცემების უმრავლესობაში, რომელიც ეთმობოდა დღის მნიშვნელოვან თემებზე პარტიების წარმომადგენლებთან ინტერვიუებს, დასკვნითი ინტერვიუ ყოველთვის მზადდებოდა "ქართული ოცნების" წარმომადგენელთან. გადაცემაში ფაქტობრივად არ იმართებოდა დებატები პარტიების წარმომადგენლებს შორის, შესაბამისად, მმართველი პარტიის წევრი აჯამებდა გადაცემაში გაჟღერებულ საკითხებს და სთავაზობდა მაყურებელს საბოლოო შეფასებებს.

გაუგებარი იყო, რა პრინციპით შეარჩიეს გადაცემის სტუმრებად დამოუკიდებელი კანდიდატებიდან მხოლოდ სალომე ზურაბიშვილი და ილია კოკაია (ზესტაფონი) მაშინ, როცა არაერთი სხვა დამოუკიდებელი კანდიდატი მონაწილეობდა არჩევნებში და ზოგი მათგანი მეორე ტურშიც კი გავიდა, მაგალითად, მცხეთის მაჟორიტარი დამოუკიდებელი კანდიდატი ცეზარ ჩოჩელი, ან ჩოხატაურში – ავაკი ჩხაიძე.

ჟურნალისტები ნაკლებად კრიტიკულ შეკითხვებს სვამდნენ მთავრობის წარმომადგენლების მიმართაც. ერთ–ერთ გადაცემაში (17 ოქტომბრის გამოშვება) სტუმრად იყო მიწვეული რელიგიის სააგენტოს უფროსი ზაზა ვაშაყმაძე მოხეში მუსლიმთა სალოცავი სადავო შენობის ირგვლივ ადგილობრივ მუსლიმ და მართლმადიდებელ მოსახლეობას შორის არსებულ კონფლიქტზე. ზაზა ვაშაყმაძემ განაცხადა, რომ მოხეში მუსლიმ თემს ლოცვის პრობლემა არა აქვს და არ არის გამორიცხული, რომ ეს თემა არჩევნების მეორე ტურის წინ შეგნებულად გააქტიურდა, ვინაიდან 1.7 წელია ამ თემაზე მიმდინარეობს დიალოგის რეჟიმში მუშაობა. ნაცვლად იმისა, რომ ჟურნალისტს მთელი კონცენტრირება და ფოკუსირება მოეხდინა

³ <http://sachivrebi.cec.gov.ge/>

სწორედ ამ საკითხზე, თუ რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო 1.7 წლის მანძილზე ამ სადავო საკითხის გადაწყვეტას, ჟურნალისტი შეეცადა საკითხის სწორედ საარჩევნო პოლიტიკურ ჭრილში გადატანას, მან დაუსვა რესპონდენტს შეკითხვა, რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ინტერესში შეიძლება შედიოდეს ამ სენსიტიური თემის პოლიტიკასთან დაკავშირება. იმის მიუხედავად, რომ რესპონდენტს არ სურდა კონკრეტული ძალის დასახელება, ჟურნალისტი ცდილობდა გამორიცხვის მეთოდით ეთქვა რესპონდენტს, რომ მმართველ პარტიას სავარაუდოდ არ გულისხმობდა და “ნაციონალური მოძრაობის” ინტერესში შეიძლება შედიოდა.

გადაცემა პრობლემატური იყო იმ მხრივაც, რომ იგი შედგებოდა რამდენი ბლოკისგან, სადაც ერთმანეთისგან განსხვავებული თემები იყო შერჩეული, ძირითადად, თითო-თითო სტუმართან, რაც ერთ კონკრეტულ საკითხზე სიღრმისეული საუბრისა და განხილვის საშუალებას არ იძლეოდა.

შესაბამისად, ისმებოდა ზედაპირული შეკითხვები, ნაკლები იყო ოპონირება ჟურნალისტების მხრიდან ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. ჟურნალისტები რესპონდენტებისგან ძირითადად ითხოვდნენ გამოხმაურებებს და შეფასებებს მათ მიმართ ოპონენტებისგან გაჟღერებულ ბრალდებებზე. ეს კი მუდმივად აძლევს რესპონდენტს შესაძლებლობას თავი დაიპყროს და აარიდოს თავი რეალურ პრობლემაზე საუბარს და მთლიანად მისი ოპონენტის კრიტიკას მიუძღვნას მსგავს შეკითხვაზე პასუხი. საბოლოოდ კი ამით მაყურებელი ზარალდება.

მაესტროს ფაქტორი

გადაცემა ყოველ პარასკევს გადიოდა ეთერში და 2 ან 3 ბლოკისგან შედგებოდა. თემები გამომდინარეობდა დღის ან კვირის მნიშვნელოვანი მოვლენიდან. 28 ოქტომბერს გადაცემა ეთერში აღარ გასულა, იგი არხის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დაიხურა, მაესტროს სხვა არაერთი გადაცემის მსგავსად.

„მაესტროს ფაქტორის“ სტუმრები ძირითადად იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, ხელისუფლების წევრები. რიგ გადაცემაში საერთოდ არ მონაწილეობდნენ მონიტორინგის სუბიექტები. ჯამში, საანგარიშო პერიოდში გასულ სამ გადაცემაში მონაწილეობდა მთავრობის 3 წარმომადგენელი, პრეზიდენტის აპარატიდან 1, ქართული ოცნებიდან – 2, გირჩიდან – 1 და სხვა პარტიებიდან არავინ.

[21 ოქტომბერს](#) წამყვანმა გადაცემა ამ ტექსტით გახსნა:

“ეროვნულ დონეზე კი პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში საკონსტიტუციო ვნებებია. ატეხილია ისტერიკა ოცნების მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების პერსპექტივაზე, თითქოსდა ეს რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება იყოს. ტრადიციულად აქტუალურია საკონსტიტუციო სასამართლოც. თუ ეს მოცემულობა გიჩნთ კითხვას რატომ? რატომ უნდა ვისმენდეთ ამ ისტერიკას თუკი ასეთია ხალხის არჩევანი და რატომ ვერ მოვახერხეთ დამოუკიდებლობის 25 წლიანი ისტორიის მანძილზე ქვეყნის მთავარ კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე შეთანხმება, ყურადღებით ნახეთ ვიდეო, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ და დარწმუნდებით, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენზე ბევრად მძიმე შემთხვევებიც არსებობს”.

ეთერში გაუშვეს ვიდეო, რომლის მიხედვითაც ყირგიზეთში კონსტიტუციის დედანი დაკარგეს. გაუგებარია, რატომ უნდა იყოს დამამშვიდებელი ინფორმაცია საზოგადოებისთვის ის, რომ ყირგიზეთში ბევრად უარესი ვითარებაა, ვიდრე საქართველოში. ასევე, რატომ შეაფასა ჟურნალისტმა „ისტერიკად“ საზოგადოების ერთი ნაწილის მოსაზრება, დაუსაბუთებელი დარჩა.

ამასთან ჟურნალისტმა თავის გამხსნელ ტექსტში განაცხადა, რომ საზოგადოების ნაწილი საკონსტიტუციო უმრავლესობის წინააღმდეგ, «რეალურად კი ნაციონალების მხარდასაჭერად» მოუწოდებს საზოგადოებას. ამგვარი ფორმულირება შესაძლებელია შეფასდეს მანიპულაციად ჟურნალისტის მხრიდან, ვინაიდან წერილის პათოსი სწორედაც იყო საკონსტიტუციო უმრავლესობის საფრთხე პარლამენტში.

ჟურნალისტმა შემოგვთავაზა ინტერვიუ "ქართული ოცნების" წარმომადგენელთან, თამარ ჩუგოშვილთან სავარაუდო საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ. რესპონდენტმა განაცხადა, რომ "ქართული ოცნება" მხოლოდ კეთილი მიზნებისთვის გამოიყენებს საკონსტიტუციო უმრავლესობას, ჟურნალისტს არ წარმოუდგენია არანაირი კონტრ არგუმენტი, რითაც გაუწევდა რესპონდენტს ჯანსაღ ოპონირებას, თუ როგორ დაძლევენ იმ საფრთხეებს, რასაც ქმნის საკონსტიტუციო უმრავლესობის კონცენტრაცია ერთი პოლიტიკური ძალის ხელში.

გადაცემის ერთი ბლოკი დაეთმო არჩევნების მეორე ტურისთვის სამზადისს, გადაცემაში სტუმრად იქნა მიწვეული კრწანისის ოლქში "ქართული ოცნების" მაჟორიტარი კანდიდატი ბექა ოდიშარია, რომელმაც ისაუბრა მის საარჩევნო კამპანიაზე, მეორე ტურისთვის სამზადისზე და ა.შ. ფაქტობრივად გადაცემის ეს ნაწილი ეძღვნებოდა ამ კანდიდატის პიარს, ვინაიდან ჟურნალისტის მხრიდან იყო ზოგადი შეკითხვები – რას პირდებით ამომრჩეველს? რა უპირატესობა გაქვთ კონკურენტთან? და ა.შ. ამასთან, ამ ბლოკში არავინ ყოფილა მიწვეული ოპოზიციიდან, ან თუნდაც უშუალოდ ოდიშარიას კონკურენტი მეორე ტურში, ენმ–ს წარმომადგენელი ირაკლი აბესაძე.

აღსანიშნავია ასევე, [14 ოქტომბრის](#) გადაცემა, სადაც საზოგადოების წევრები არჩევნებზე საუბრობდნენ. ამავე თემაზე სასაუბროდ ეთერში ჩართეს თბილისის მერი დავით ნარმანია.

ჟურნალისტმა ჩართვა იმით ახსნა, რომ მეორე დღეს თბილისობის დღესასწაული აღინიშნებოდა, თუმცა რა შუაში იყო ეს მთავარ თემასთან, გაუგებარია. უფრო მეტად დამაბნეველი იყო მაყურებლისთვის ნარმანიასთვის დასმული პირველი შეკითხვა, რომელსაც წინ უძღოდა ჟურნალისტის ახსნა, რომ ერთი წლის წინ თბილისობის დროს, ის იყო მასთან ეთერში იმ საკითხზე, რომ ნარმანია მალე უნდა გადაეყენებინათ თანამდებობიდან: “არჩევნებმაც ჩაიარა, თბილისობაც მოვიდა და როგორ მოხდა ისე, რომ თქვენ მაინც არ გადადექით, ვერ გადაგაყენათ ოპოზიციამ?”

არჩევნებზე შეკითხვების შემდეგ ჟურნალისტმა რესპონდენტს სთხოვა - “მოგვიყევით ხვალინდელი თბილისობის ღონისძიებების შესახებ”.

პირველი

ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „რვიანი“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს ეთერში 20:00 საათზე გადის.

რვიანი

გადაცემა ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე გადიოდა ეთერში. წამყვანი მიმდინარე ამბებს განიხილავდა სტუმრებთან ერთად. საანგარიშო პერიოდში მოწვეულნი იყვნენ სტუმრები შემდეგი პარტიებიდან: "ქართული ოცნება" - 19, "ნაციონალური მოძრაობა" - 16, "თავისუფალი დემოკრატები" - 10, "რესპუბლიკელები" - 8, პაატა ბურჭულაძე - 8, ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა - 7, "ეროვნული ფორუმი" - 4, "პატრიოტთა ალიანსი" - 2, გირჩი - 2, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - 1, "ლეიბორისტული პარტია" - .

საანგარიშო პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც ეთერში არარელევანტური სტუმრები საუბრობდნენ. მაგალითად 5 ოქტომბერს "ნაციონალური მოძრაობის" წევრის, გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებისა და მისი მიზეზების შესახებ სამსჯელოდ მოწვეული იყო "ეროვნული ფორუმის" ლიდერი გუბაზ სანიკიძე. ასევე, 18 ოქტომბერს, ეთერში ჰყავდა ყოფილი პროკურორი, ლაშა ნაცვლიშვილი, რომელსაც მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები შეაფასებინა. ორივე შემთხვევაში გაურკვეველი დარჩა რესპონდენტების კავშირი.

სტუმრებს ძირითადად ცალკ-ცალკე უწევდათ პასუხის გაცემა კითხვებზე და მათ შორის დისკუსია არ გამართულა. ჟურნალისტი ხშირ შემთხვევაში რესპონდენტებს დამაზუსტებელ კითხვებს უსვამდა, თუმცა მაინც იყო შემთხვევები, როდესაც გარკვეული საკითხები ბუნდოვანი დარჩა.

მაგალითად, 11 ოქტომბერს, “დემოკრატიული მოძრაობის” ლიდერს, ნინო ბურჯანაძეს წამყვანმა ჰკითხა, თუ რა პრეტენზია ჰქონდა არჩევნების პროცესისადმი ამ კონკრეტული მომენტისათვის. ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ სოფელ უბისაში, მეშვიდე უბნის კოორდინატორი დათო მახათაძე და მისი ოჯახი სოფელ ბორეთის გამგებელმა და მისმა მოადგილემ სცემეს იმიტომ, რომ ბურჯანაძეს დაუჭირეს მხარი. წამყვანი არ დაინტერესებულა, არის თუ არა საქმე აღძრული. რა რეაგირება მოჰყვა შესაბამისი უწყებების მხრიდან. მოგვიანებით ბურჯანაძე ამბობს, “ხომ ნათელია რომ მინიმუმ 7 პროცენტი გვაქვს ჩვენ, რაც ბათუმში დაფიქსირდა გაყალბების შემდეგაც კი” წამყვანი არ ეკითხება რატომ ფიქრობს, რომ ბათუმში გაყალბდა არჩევნები. ბურჯანაძის თქმით, მხოლოდ ბოლო კვირაში მიიღო 20000 დამატებითი ხელმოწერა უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით, რაც მოჰყავს არგუმენტად რომ მას უფრო ბევრი ადამიანი უჭერდა მხარს რეალურად, ვიდრე ეს არჩევნების შედეგებით დაფიქსირდა. წამყვანი არ უსვამს კონტრკითხვას ასეთი ხელმოწერა რატომ არის გარანტია იმისა, რომ კენჭისყრის დღეს მას მისცემენ ხმას.

21 ოქტომბერს წამყვანმა "ნაციონალური მოძრაობის" წევრ მიხილ მაჭავარიანთან საუბრისას აღნიშნა, რომ მიხილ სააკაშვილმა პარტიის წევრთა ნაწილს უსაყვედურა. ამ კონტექსტში თქვა *“ჩვენ ვნახეთ, რომ რამდენიმე ადამიანმა, თქვენმა მხარდამჭერმა, მათ შორის, თქვენი ერთ-ერთი ლიდერის მეუღლემ, ჩერგოლეიშვილმა არ დამალა ღიად სოციალურ ქსელშიც გადავიდა ეს დიდი კამათი”*

მიხილ მაჭავარიანმა მიუთითა, რომ გიგა ბოკერიას მეუღლე არ არის თანამდებობა და ადამიანს ძმისა და მეუღლის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებულ პოსტებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. წამყვანმა ამის საპასუხოდ დასძინა, რომ სანდრა რულოვსი *“გამოგზავნილია მისი მეუღლის მიერ როგორც მისი ერთერთი წარმომადგენელი”* თამარ ჩერგოლეიშვილთან დაკავშირებით კი განმარტა რომ *“ის არის თავისი მეუღლის პოზიციის გამხმომავნებელი, გამტარებელი და თქვენ რაც არ უნდა უარყოთ ახლა, როდესაც ის წერს ფეისბუქში ღიად რაღაც-რაღაცებს, ეს ასოცირდება მისი მეუღლის პოზიციასთანაც.”*

ამგვარი განცხადებით წამყვანმა ფაქტობრივად, ქმრების პოზიციის გამხმომავნებლად, საკუთარი მოსაზრების არმქონე პირებად მოიხსენია სანდრა რულოვსი და თამარ ჩერგოლეიშვილი.

კავკასია

კავკასიის ეთერში მონიტორიები აკვირდებოდნენ ტოქშოუს „ბარიერი“, (კვირაში ოთხჯერ 21:15 საათზე)

ბარიერი

საანგარიშო პერიოდში გადაცემას სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. მათ შორის იყო "ქართული ოცნება" -15-ჯერ, "ნაციონალური მოძრაობა" -12, გირჩი -7 (აქედან იაგო ხვიჩია - 3-ჯერ სტუმრობდა „ბარიერს“), ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა - 4, სახელმწიფო ხალხისთვის - 5 (აქედან ოთხჯერ მანანა ნაჭყებია), "თავისუფალი დემოკრატები"-4, "ეროვნული ფორუმი" - 3, "პატრიოტთა ალიანსი" 3, "რესპუბლიკური პარტია" - 2, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს -1.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დაკვირვების პერიოდში გადაცემაში არცერთხელ არ მოუწვევიათ მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები.

გადაცემა “ბარიერის” მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ მასში თითქმის არ განიხილავენ ერთ კონკრეტულ საკითხს სიღრმისეულად. როგორც წესი, გადაცემის თემა არის მიმდინარე მოვლენები, რის შეფასებასაც წამყვანები სთხოვენ სტუმრებს. იყო შემთხვევა, როდესაც რამდენიმე დღის განმავლობაში ერთი ძირითადი თემა განიხილებოდა, კერძოდ: “რა საფრთხე შეიძლება შექმნას "ქართული ოცნების" მიერ საპარლამენტო უმრავლესობის მიღებამ”.

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი თემები აქტუალური იყო, იმეორებდა საინფორმაციო გამოშვებებით გადაცემულ ინფორმაციას და არ სთავაზობდა განსხვავებულ ანალიზს.

სტუმრები, ძირითად შემთხვევებში შერჩეული იყვნენ თემასთან შესაბამისად და გათვალისწინებული იყო მათი პოლიტიკური შეხედულებები, თუმცა იყო გამონაკლისებიც.

მაგალითად 6 ოქტომბრის გადაცემაში მიმდინარე საარჩევნო გარემოზე სასაუბროდ მიწვეული იყვნენ მომდერალი ირმა სოხაძე და კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი. გაუგებარია, რატომ არის მათი აზრი მნიშვნელოვანი არჩევნებამდელ პერიოდზე. მათთან ერთად სტუდიაში საუბრობდა მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის, „გირჩის“ წარმომადგენელი ნიკა ქავთარაძე.

ბალანსის პრობლემა იყო და მაყურებელმა ცალმხრივად მიიღო ინფორმაცია 17 ოქტომბერს, როდესაც „ბარიერის“ თემა იყო საზოგადოების ნაწილის მიერ წარმართული კამპანია საკონსტიტუციო უმრავლესობის წინააღმდეგ. გადაცემაში არ ჰყავდათ მიწვეული კამპანიის მონაწილე არცერთი პირი, ვინც საკუთარ არგუმენტაციაზე ისაუბრებდა. ამ საკითხზე დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში საუბრობდა მხოლოდ "ქართული ოცნების" წარმომადგენელი და მას მოწინააღმდეგე არ ჰყოლია.

ბარიერის კითხვები არ იყო კრიტიკული და ძირითადად მიზნად ისახავდა სტუმრების შეფასებების წარმოჩენას. მაგალითად, 6 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანმა „გირჩის“ წევრ ნიკა ქავთარაძეს ჰკითხა: *“ფარული ჩანაწერები თქვენ როგორ ფიქრობთ, ასე უნდა*

ქვეყნდებოდეს? და დესტაბილიზაციასთან დაკავშირებითაც მაინტერესებს თქვენი მოსაზრება.”

არჩევნების შემდეგ 12 ოქტომბერს წამყვანმა მაია მამულაშვილმა გადაცემის პირველ სტუმარს ნუკრი ქანთარიას ჰკითხა: *“როგორი განწყობა გაქვთ საზეიმო განწყობა, თუ სევდანარევი სიხარული? ეს რა თქმა უნდ ნახევარად ხუმრობით, რადგან წინ გელოდებათ რთული 4 წელი”.*

24 ოქტომბერს გადაცემის თემა იყო კრწანისის ბაზაზე მომხდარი მკვლელობა. ამ საკითხზე საუბრობდნენ კახა კუკავა (პატრიოტთა ალიანსი), მანანა ნაჭყებია (სახელმწიფო ხალხისთვის), ლევან სამუშია (თავისუფალი დემოკრატები) და მამუკა გამყრელიძე (ექსპერტი). გადაცემის დაწყებისას, ჟურნალისტი დაინტერესდა რა განცდა გაუჩნდათ სტუმრებს, როდესაც თავდაცვის სამინისტროს განცხადება წაიკითხეს და ზოგადად, რას ფიქრობენ ამ საქმეზე⁴.

გაუგებარია, კრწანისის ინციდენტზე სასაუბროდ ეს ადამიანები რატომ მოიწვიეს, რა კონკრეტული ინფორმაცია შეიძლება ჰქონდეთ მათ ამ საქმესთან დაკავშირებით. ამასთან გადაცემის მეორე ნახევრიდან იწყებენ საუბარს სანდრა რულოვსის მიერ კანდიდატურის მოხსნის თაობაზე. ბუნდოვანია, კრწანისის ინციდენტი და სანდრა რულოვსის მიერ კანდიდატურის მოხსნა როგორ უკავშირდება ერთმანეთს, რატომ განიხილავენ ამ ორ თემას ერთ ბლოკში ერთსა და იმავე სტუმრებთან ერთად.

წამყვანმა მამუკა გამყრელიძემ ჰკითხა, მისი აზრით, სანდრა რულოვსმა თავისი ინიციატივით მიიღო კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება თუ მიმას გავლენით. გაუგებარია, რატომ უნდა იცოდეს მამუკა გამყრელიძემ სანდრა რულოვსის გადაწყვეტილების მოტივები? მანაც უპასუხა, რომ არც მიხეილ სააკაშვილთან არის ახლოს და არც სანდრა რულოვსთან, რომ ეს დეტალები იცოდეს

წამყვანები საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდნენ იმ ფონზეც, რომ გადაცემაში ძირითადად სტუმრები დომინირებდნენ და წარმართავდნენ საუბარს. იყო შემთხვევებიც როდესაც ერთდროულად ისე საუბრობდნენ სტუმრები, რომ არაფერი ისმოდა.

ტაბულა

ტელეკომპანია ტაბულას ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემა „თეორემა“, რომელიც ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს გადის ეთერში.

თეორემა

⁴ <http://www.radiotavisupleba.ge/a/mkvlleloba-krcanisis-sascavlo-centris-teritoriaze/28072304.html>

გადაცემაში სტუმრებთან ერთად განიხილავდნენ მიმდინარე აქტუალურ საკითხებს. 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი ბლოკი ეთმობოდა საარჩევნო სუბიექტების თემატურ დისკუსიას.

თეორემაში მონაწილეობდნენ მხოლოდ 5 პარტიის წარმომადგენლები - "ნაციონალური მოძრაობა" 10-ჯერ, ბურჭულაძე სახელმწიფო ხალხისთვის 7-ჯერ, გირჩი - 1⁵, "თავისუფალი დემოკრატები" - 3, რესპუბლიკელები - 1.

წამყვანების განმარტებით, "ქართული ოცნება" უარს ამბობს გადაცემაში მონაწილეობაზე. თუმცა, არ აუხსნიათ რატომ არ მოუწვევიათ სხვა პარტიის წარმომადგენლები, რატომ შეაჩერეს ყურადღება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ საარჩევნო სუბიექტებზე.

წამყვანები ძირითადად მომზადებულები იყვნენ თუმცა, აღსანიშნავია, რომ სექტემბრის თვეში იმ ბლოკში, სადაც პარტიების წარმომადგენლები კონკრეტულ თემებზე (ჯანდაცვა, ეკონომიკა) საუბრობდნენ, კამათი და დისკუსია არ გამართულა, ისინი მხოლოდ წარადგენდნენ საკუთარ ხედვებს. მაგალითად, 26 სექტემბრის გადაცემა, სადაც ჯანდაცვაზე საუბრობდნენ, ჟურნალისტი სვამდა ზოგად კითხვებს შესახებ, თუ რას გულისხმობდა ჯანდაცვის მათი პროგრამა და ოპონირებას ვერ უწევდა სტუმრებს. შესაბამისად, მაყურებლისთვის გაუგებარი დარჩა რომელი პროგრამა ჯობდა ან რომელი უფრო რეალური იყო.

ამავე დღეს ჟურნალისტმა კარგად იცოდა პირველი ბლოკის თემა თსუ-ში მიმდინარე მოვლენები, არსებული დაპირისპირება და სხვადასხვა კუთხიდან განიხილავდა საკითხს, თუმცა, გაუგებარი დარჩა რა პრინციპით შეარჩია სტუმრები - სიმონ ჯანაშია, რომელიც წარადგინა, როგორც ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, თუმცა შემდეგ რესპონდენტმა უთხრა, რომ ერთი წელია ილიას უნივერსიტეტის პროფესორი აღარ არის. მეორე სტუმარი კი იყო „სახელმწიფო ხალხისთვის“ კოალიციაში მყოფი „გირჩის“ წევრი სანდრო თარხან მოურავი. თუ პოლიტიკური პარტიების შეფასებები აინტერესებდა წამყვანს, რა ნიშნით შეარჩია მხოლოდ ეს პარტია, აუდიტორიისთვის არ განუმარტავს.

მიუხედავად იმისა, რომ წამყვანებმა რამდენჯერმე განაცხადეს "ქართული ოცნების" მიერ გადაცემაში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ, მაინც საჭიროა, რომ ან თავად წამყვანებმა დასვან კონტრკითხვები ან მოიყვანონ ისეთი რესპონდენტი, რომელიც კონტრარგუმენტებით უპასუხებს იმ პირებს, ვინც მმართველ პარტიას აკრიტიკებს. სხვა შემთხვევაში მხოლოდ ერთი მხარის მოსაზრებები, კრიტიკა და ბრალდებები მიეწოდება საზოგადოებას.

მაგალითად 27 ოქტომბრის გადაცემაში, სადაც "ნაციონალური მოძრაობის" წევრი რომან გოცირიძე ლარის გაუფასურებაზე საუბრობდა, კრიტიკის მთავარი ობიექტი ხელისუფლება

⁵ შენიშვნა: კოალიციის დატოვების შემდეგ ითვლება ცალკე პარტიად

და მმართველი პარტია იყო. თუმცა, კონტრმოსაზრებები ეთერში არ ისმოდა. არაპოლიტიკოსი სტუმრებიც ისე იყვნენ შერჩეულნი, რომ ფაქტობრივად ეთერში განსხვავებული აზრი, დისკუსია, კამათი არ ისმოდა.

ობიექტივი

ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „ღამის სტუდია“, რომელიც ყოველ დღე 22:30 სთ-ზე გადის ეთერში.

ღამის სტუდია


გადაცემას არა აქვს სტაბილური განრიგი და ფორმატი - 10, 14 და 17 ოქტომბერს „ღამის სტუდია“ ეთერში არ გასულა - ტელეკომპანიამ საჭიროდ არ ჩათვალა, მაყურებლისთვის გადაცემის ეთერში არგასვლის მიზეზი განემარტა. გარდა ამისა, „ღამის სტუდიას“ რამდენიმე წამყვანი ჰყავს. გაუგებარია, გადაცემა რომელ დღეს რომელ წამყვანს მიჰყავს. ზოგჯერ მთელი გადაცემა ერთ წამყვანს მიჰყავს, ხან სტუდიაში ერთდროულად ორი წამყვანია, ხან ერთი ბლოკი ერთ წამყვანს მიჰყავს, ხოლო მეორე - სხვას.

გადაცემა ორი ბლოკისგან შედგება. ხშირად წამყვანები საერთოდ არ ასახელებენ იმ თემას, რასაც გადაცემა ეძღვნება და არც მათი კითხვებია რაიმე თემაზე ან საკითხზე ფოკუსირებული. გადაცემას არ აქვს დინამიკა. იყო შემთხვევა, როდესაც საერთოდ არ ჰყავდათ სტუმარი და წამყვანი კითხულობდა გარკვეულ ინფორმაციას და სტუდიაში მოქალაქეთა ზარებს პასუხობდა.

ისევე როგორც გასულ სამონიტორინგო პერიოდებში, ახლაც მთელი გადაცემა ერთგვარი პლატფორმა იყო ერთი პოლიტიკური ძალის, „პატრიოტთა ალიანსისთვის“. გადაცემის წამყვანები ჯერ მაჟორიტარობის კანდიდატები იყვნენ ამავე პარტიიდან, მეორე ტურში ვერ გასვლის შემდეგ კი ისევ ეთერში დაბრუნდნენ წამყვანებად, მაგალითად ბონდო მმინარაშვილი.

საერთო ჯამში სამონიტორინგო პერიოდში გადაცემაში მიწვეულნი იყვნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები „პატრიოტთა ალიანსი“ (29 წევრი), „ქართული ოცნება“ (3 წევრი), „ეროვნული ფორუმი“ (1 წევრი), სახალხო პარტია (1 წევრი), „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ ერთი წევრი, სიმონ ნოზაძე და დამოუკიდებელი კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი.

"დამის სტუდიის" სტუმართა რაოდენობა
(25.09-2.11)



უნდა აღინიშნოს, რომ “დამის სტუდიის” სტუმრები და წამყვანები ხშირად თანამოაზრეები არიან და მათ შორის მეგობრულ-შინაურული საუბარი მიმდინარეობს. გადაცემის წამყვანთა ნაწილი საკუთარ მიკერძოებას „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ არც მალავს. მაგალითად, წამყვანი ნინო რატიშვილი ხშირად ახდენს იდენტიფიცირებას “პატრიოტთა ალიანსთან”. 6 ოქტომბერს ამ პარტიის ლიდერ დავით თარხან-მოურავთან საუბრისას, ამბობს - “მე ისევ ვიმეორებ, აჭარა და სამეგრელო, ანუ წელში არის გადატეხილი ხო? ჩვენ ხო ეხლა პრინციპში ხელისუფლებაა ჩვენი მოწინააღმდეგე თუ ისევ მაინც ნაციონალები იდეურად. აი, ჩვენ, ჩვენი მომხრეები.”

იმავე გადაცემაში წამყვანი პირდაპირ მოუწოდებს მაყურებელს, რომ 8 ოქტომბერს ხმა მისცენ “პატრიოტთა ალიანსს”, შემდეგ კი იმავე საღამოს, 8 სთ-ზე “ალიანსის” მიერ დაანონსებულ აქციაზე მივიდნენ. “გინდათ იყოთ მდიდრები, უზრუნველყოფილები, შეინახოთ ოჯახები, ღირსება აღიდგინოთ, იყოთ გახარებულები, შემოხაზეთ 8-ში 8 ნომერი და გელოდებით 8-ში, საღამოს 8 საათზე.”

წამყვანები ხშირად აკრიტიკებენ როგორც მოქმედ, ისე ყოფილ ხელისუფლებას, თუმცა ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ იყენებენ კორექტულ გამონათქვამებს, ყოფილი ხელისუფლების კრიტიკა კი არის მკვეთრად ნეგატიური. “ნაციონალური მოძრაობის” მიმართ იყენებენ ისეთ ეპითეტებს, როგორებიცაა: “მოსიარულე ბოროტება,” “სექტანტები”, “ქართველთყლაპიები”,

“ქართველთქამიები”, “ზოროტი ძალა”, “ნაცსექტა”, “მკვლელების და მწვალებლების სექტა”, მამაძაღლები.

21 ოქტომბერს, განმეორებითი არჩევნების წინ, გადაცემის მეორე ნაწილში გავიდა ფილმი. ეს იმისთვის მოხდა, რომ, როგორც წამყვანი ამბობს, “ყველამ ერთად გავიაზროთ, თუ ვის არ უნდა მივცეთ ხმა.” “კავკასიის ინტერნეტმედია ჯგუფის” მიერ 2009 წელს მომზადებული ფილმი “ქალაქში მკვლელია” მოგვითხრობს აფრასიძეების საქმეზე და ზურაბ ვაზაგაშვილის, ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის და გიორგი გამცემლიძის გახმაურებულ მკვლელობებზე. ფილმში აღნიშნულია, რომ შს სხვადასხვა ორგანოების მიერ 2004-2009 წლებში, “კანონის უხეში დარღვევით” 100-ზე მეტი ახალგაზრდის ლიკვიდაცია მოხდა. მკვლელთა მფარველი კი მიხეილ სააკაშვილია.

განმეორებითი არჩევნების შემდეგ წამყვანთა ნაწილი ღიად გამოხატავს სახელისუფლებო პარტიის და მის მიერ წამოყენებულ კანდიდატთა მიმართ სიმპატიას. 27 ოქტომბერს წამყვანმა, ბონდო მძინარაშვილმა (ჯერ კიდევ 8 ოქტომბერს "პატრიოტთა ალიანსის" მაჟორიტარობის კანდიდატმა) მაყურებელს პირდაპირ მოუწოდა “ქართული ოცნების” მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ბიძინა გეგიძის მხარდაჭერისკენ:

“ბიძინა გეგიძე რაღაც პოზიტიური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, არა? მე მგონი არის პოზიტიური ადამიანი კიდევ და რაღაც კეთილშობილი ადამიანის შთაბეჭდილებას... ნამდვილად არაფერს გააფუჭებს, ვაკელებს მივმართავ, ამისი პირობის დადება მეც კი შემიძლია. ნამდვილად არაფერს გააფუჭებს და თქვენთან ერთად ბევრი რამის გაკეთებას მოახერხებს და შეძლებს..”

იქვე წამყვანმა ისიც აღნიშნა, რომ “ზოროტმა ძალამ”, ანუ “ნაციონალურმა მოძრაობამ” არცერთი ხმა არ უნდა მიიღოს, “ნაცსექტის” კანდიდატი კი შეუძლიათ კიბიდან დააგორონ:

“რადგან ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ მეორე ტურში აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს იმ ძალამ, რომელიც მოახერხებს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ბოროტს სძლევს. ეს ბოროტი ძალაც ვიცით ვინც არის. არცერთი ხმა არ უნდა მიიღოს “ნაციონალურმა მოძრაობამ”. განსაკუთრებით სექტანტების გასაგონად ვამბობ. განაგდეთ ეშმაკი. განაგდეთ ეშმაკი. განაგდეთ ეშმაკი. სამჯერ გადასახეთ პირჯვარი თქვენთან მოსულ ნაცმოძრაობის, ნაცსექტის კანდიდატს და თუ წინააღმდეგობას გაგიწევთ, ზოგიერთი მათი წარმომადგენელი, ეხლა პატარა ვოგო-ბიჭებს თავი დაანებეთ, ცუდად ნუ მოეპყრობით, შეგიძლიათ კიბეზეც დააგოროთ. ეს არ არის მოწოდება ძალადობისკენ, ეს არის მოწოდება ვარჯიშისკენ.”

წამყვანთა ნაწილი სტუმრებს აძლევს საშუალებას, რომ გამოიყენონ სიძულვილის ენა და ანტიდასავლური პროპაგანდის გზავნილები (მაგ. რეზო ამაშუკელი 26 ოქტომბერს). ერთ-

ერთ გადაცემაში (6 ოქტომბერი) კი წამყვანი ამართლებს თბილისში, ახალგაზრდების ერთი ნაწილის მიერ აღმაშენებლის ქუჩაზე თურქული სასტუმროების და კაფე-ბარების დარბევის აქტს და თავადაც ავლენს თურქოფობიას.

“უკვე უხერხულია დავით აღმაშენებელს ნუ უწოდებთ პლეხანოვს-თქო, იმიტომ, რომ ის სულ თურქულია და ეხლა ირანული დაემატა, ნუ ეს ეხლა უტრირებას ვახდენ... მაგრამ, ვისი ბრალია [...] მე პრეტენზია მაქვს ჩემს ხელისუფლებასთან, იმიტომ, რომ ისინი ძალით არ მოდიან აქ. მათ, პირიქით, ეხვეწებიან [...] მე გაღიზიანებული ვარ ჩემს ხელისუფლებაზე, რომელმაც ვერ მოახერხა ჩემი დაცვა. ის პატარა ბავშვებმა შეიძლება ჩამოხიეს რაღაცა, მაგრამ იმ მდგომარეობამდე რომ მიიყვანეს ჩვენი ბავშვები, მე ამას ვერ ვპატიობ ჩემს ხელისუფლებას, რომ ამ პატარა ბავშვებმა დაგვინახეს, რომ აი, ჩვენ ვართ უნიათოები და წავიდნენ და თვითონ გააკეთეს და დაიჭირეს ეხლა ის ბავშვები. ჩვენი ბრალია და ჩვენი ხელისუფლების ბრალია ეს და არა თურქეთის.”

წამყვანი ავრცელებს მცდარ და არასწორ მოსაზრებას (13 ოქტომბერი) როდესაც ამბობს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვიზალიბერალიზაციას იმიტომ ელოდება, რომ შემდეგ სამუშაოდ წავიდეს ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში და ოჯახს იქ გამომუშავებული ფულით დაეხმაროს. არადა, ვიზალიბერალიზაცია საქართველოს მოქალაქეებს მუშაობის უფლებას არ აძლევს.

აჭარა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „ფაქტორი“, რომელიც სხვადასხვა პერიოდულობით გადიოდა ეთერში.

ფაქტორი

გადაცემა “ფაქტორის” ნაცვლად წინასაარჩევნო პერიოდში „არჩევანი 2016“ გავიდა ეთერში, შემდეგი კვლავ ძველი ფორმატით დაბრუნდა, თუმცა მაყურებლისთვის მაინც დამაბნეველი იყო გადაცემის ეთერში გასვლის პერიოდულობა.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა „თავისუფალი დემოკრატების“, „ლეიბორისტული პარტიის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ და „დავით თარხან მოურავი-ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ პრეზენტაცია, მეორე ტურში მონაწილე კანდიდატების (როგორც პარლამენტში, ასევე აჭარის უმაღლეს საბჭოში) დებატები, თუმცა "ქართული ოცნების" წევრებმა უარი თქვეს მონაწილეობაზე და დებატები ვერ შედგა. გადაცემას მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები სტუმრობდნენ. საანგარიშო პერიოდში “ქართულმა ოცნებამ” მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა გადაცემაში.

წამყვანი იყო მიუკერძოებელი და სამართლიანად უთმობდა დროს გადაცემაში მონაწილე ყველა სუბიექტს. პარტიების პრეზენტაციისას მისი როლი პასიური იყო და ძირითადად მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. კონტრკითხვების გარეშე პარტიის წარმომადგენლებს ჰქონდათ საშუალება ეთერით მათთვის სასურველი, მათ შორის არასწორი ინფორმაცია გაეგრძელებინათ. ამომჩეველს კი არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეგო, რამდენად რეალურია კანდიდატების თუ პარტიის წევრთა მიერ გაცემული დაპირებები.

მაგალითად 5 ოქტომბერს, "პატრიოტთა ალიანსის" ლიდერმა დავით თარხან მოურავმა რუსთავი 2-ის დაკვეთით GFK-ის მიერ ჩატარებულ ეგზიტპოლებზე განაცხადა:

“ახლა გავიგე რომ რაღაც, სხვა რაღაც ორგანიზაცია “კა ეფ სი” [KFC] შემოიყვანეს, რომელიც სრულიად არაკომპეტენტური და მატყუარა ორგანიზაციაა. რო იცოდეთ “კა იეფ სი” არის ორგანიზაცია რომელიც ქათმის ფრთებს ყიდის მსოფლიოში”.

წამყვანს არ უთქვამს, რომ არასწორ ფაქტს ავრცელებდა და GFK და KFC სხვადასხვა კომპანიებია.

აღსანიშნავია, რომ ამავე გადაცემაში წამყვანი შეეცადა თარხან მოურავისთვის არ მიეცა სიძულვილის ენის გამოყენების საშუალება, თუმცა ბოლომდე წარმატებით ვერ გაართვა თავი. თარხან მოურავმა თქვა, რომ საქართველოში ქართველებს თურქებთან შედარებით ცუდი პირობები აქვთ.

“ნაყინის გამყიდველი არ უნდა იყოს თურქი, ქართველსაც შეუძლია ნაყინი გაყიდოს”

„არამარტო თურქები, ჩვენ შევიკავით თავი დისკრიმინაციული განცხადებებისგან, ამ ქალაქში ბევრი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, არამარტო ამ ქალაქში, მთლიანად მთელს ქვეყანაში და მათ აქვთ აბსოლუტური უფლება რომ აწარმოებდნენ საქმიანობას“, - უთხრა წამყვანმა, თუმცა რესპონდენტმა გააგრძელა - “ქართველმა კაცმა რომ გაყიდოს სიმინდი უნდა იბრძოლოს 2 თვე თურქმა რომ გაყიდოს ნაყინი, ამას გააკეთებს ერთ დღეში“, ამის შემდეგ წამყვანი სხვა თემაზე სასაუბროდ გადავიდა. აუდიტორიისთვის გაუგებარი დარჩა რა იყო დისკრიმინაცია, ოპონირებას ფორმატი არ ითვალისწინებდა და წამყვანსაც არ გაუგრძელებია ამ თემაზე საუბარი.

TV 25

ტელეარხი 25-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუს „დიალოგი“, რომელიც კვირაში ორჯერ გადიოდა ეთერში. თუმცა გამონაკლისის სახით საანგარიშო პერიოდში დაემატა 2 გადაცემა.

დიალოგი

გადაცემა დროს უთმობდა როგორც აჭარიდან მაჟორიტარ კანდიდატებს საქართველოს პარლამენტში, ასევე იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც აჭარის უმაღლეს საბჭოში მოსახვედრად იბრძოდნენ.

აღსანიშნავია, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოში მოსახვედრად მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებიდან შეთავაზების მიუხედავად არც ერთ დებატში მონაწილეობა არ მიუღია "ქართული ოცნების" წარმომადგენელს, რის შესახებაც წამყვანმა არაერთხელ ამცნო საზოგადოებას. ფაქტობრივად დებატები არ შედგა და წამყვანს ინტერვიუს ფორმატში მოუხდა გადაცემის წაყვანა "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთან.

გადაცემაში მონაწილეობაზე ასევე უარი თქვა ლეონიდ ჩერნოვეციმაც. 14 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანი აღნიშნავს, რომ "პატრიოტთა ალიანსს" 22 ოქტომბრამდე მორატორიუმი აქვს გამოცხადებული და გადაცემაში მონაწილეობაზე უარს ამბობს, გადაცემაში მონაწილეობისთვის მზად არ აღმოჩნდა "რესპუბლიკური პარტიაც".

საერთო ჯამში 7ჯერ სტუმრობდნენ გადაცემას ერთიანი "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, 3-ჯერ "ქართული ოცნება" (4-ჯერ არ მივიდნენ), თითოჯერ იყვნენ წარმოდგენილნი შემდეგი პარტიის წევრები: მრეწველები, "ეროვნული ფორუმი", "ლეიბორისტული პარტია", "რესპუბლიკური პარტია", პატრიოტთა ალიანსი, ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა, "თავისუფალი დემოკრატები". გადაცემაში მონაწილეობდა დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატი არმაზ ახვლედიანიც.

ჟურნალისტი მომზადებული იყო ყველა რესპონდენტთან სასაუბროდ, ოპონირებას უწყევდა სტუმრებს, სვამდა კრიტიკულ კითხვებს, იყო მიუკერძოებელი. კარგად მართავდა ეთერს. სთხოვდა ბუნდოვანი დეტალების განმარტებებს მაყურებლისთვის.

გამონაკლისი შემთხვევა იყო 3 ოქტომბერს, როდესაც სტუდიაში მყოფმა არმაზ ახვლედიანმა თქვა, რომ როცა ბიძინა ივანიშვილს პირველად შეხვდა, ივანიშვილმა აჭარის მთავრობის ხელმძღვანელობა შესთავაზა, თუმცა "მაშინ აჭარაში კლანებმა არ ისურვეს ჩემი აქ ჩამოსვლა" ჟურნალისტი ეკითხება კონკრეტულად რომელმა კლანმა, ვინ არ ისურვა ეს. ახვლედიანმა პასუხს თავი აარიდა. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ახსენა "კლანურობა", ჟურნალისტს მეტი დაკონკრეტება არ მოუთხოვია. ასეთ დროს, როდესაც რესპონდენტი თავს არიდებს კონკრეტული პასუხის გაცემას, წამყვანმა უმჯობესია მიანიშნოს ეს რომ შემდეგ კითხვაზე გადადის იმის, რომ არ პასუხობს რესპონდენტი და არა იმიტომ რომ თემა ამოწურულად მიიჩნია.

გადაცემების დასაწყისში აჩვენებდა სტუმარი მაჟორიტარობის კანდიდატის მოკლე ბიოგრაფიას, რაც ხელს უწყობდა მაყურებლის ინფორმირებულობას. გადაცემის განმავლობაში მოსახლეობას შეეძლო დაერეკა და მისთვის სასურველი კითხვა დაესვა

მოწვეული სტუმრისთვის, რაც ძალიან კარგია აუდიტორიის ჩართულობისთვის, მაგრამ, ალბათ, უმჯობესია ზარები იფილტრებოდეს, მაგალითად, 14 ოქტომბრის გადაცემაში დარეკა მსმენელმა, რომელსაც კითხვა არ ჰქონდა. უბრალოდ, თქვა: “არმაზ, გაგიმარჯოს, ანგისა შენს გვერდითაა”. 19 ოქტომბრის გადაცემაში ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: “მხარს ვუჭერთ ჩვენ ნუგზარ ამალლობელს და ვუდგევართ გვერდში” და გათიშა ტელეფონი.

გადაცემის განმავლობაში ჟურნალისტი მაყურებელს სთავაზობდა სიუჟეტებს, რაც ამრავლფეროვნებდა ეთერს. უნდა გამოიყოს 24, 26 და 28 ოქტომბრის სიუჟეტები, სადაც ეთერში მყოფ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთან ერთად ნაჩვენები იყო "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებიც, მიუხედავად იმისა, რომ ეთერში მისვლაზე უარი თქვეს. აღსანიშნავია ჟურნალისტის მიერ მასალის დაბალანსების ყველანაირი მცდელობა. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტში მხოლოდ ერთი, ის რესპონდენტი საუბრობდა, ვინც ეთერში იყო მოწვეული. მაგალითად, 19 ოქტომბერს, სიუჟეტსა და გადაცემაში ერთი და იგივე პირი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ნუგზარ ამალლობელი საუბრობდა. გაუგებარია ასეთ დროს სიუჟეტის არსი, როდესაც წამყვანს თავად შეუძლია დაუსვას კითხვა და ასაუბროს სტუმარი.

უნდა აღინიშნოს, რომ მაჟორიტარობის კანდიდატების სტუმრობისას, გადაცემაში ძირითადი დრო ეთმობოდა არჩევნების პირველი ტურის შეფასებას, "ნაციონალური მოძრაობის" წარსულის განხილვას და ცოტას ლაპარაკობდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები თავიანთ სამომავლო გეგმებზე, კონკრეტულ საარჩევნო პროგრამაზე, აჭარის განვითარებაზე და ა.შ.